პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

KOMUNISTI—

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

1976 ოთხშაბათი 8 სექტემბერი № 211 (16641) ფასი 2 კაპ. 1976

რ ი თ ვ ე ლ ი ა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება „1976-1980 წლებში ეროზიასაწინააღმდეგო სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოების გაფართოების ღონისძიებათა შესახებ“.

დადგენილებაში ნათქვამია, რომ ეროზიასაწინააღმდეგო მანქანების წარმოების გადიდებისა და მათს გამოსაშვებ საწარმოო სიმძლავრეთა გაფართოების მიზნით სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სტატიკო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტს და უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს დაევალათ უზრუნველყონ, რომ 1975-1980 წლებში აწარმოონ საჭირო რაოდენობის ბტკუელსაჭრელი კულტივატორები, მძიმე ეროზიასაწინააღმდეგო კულტივატორები, შტანგიანი კულტივატორები, სანაწვერალო სათესელები, ნემსა ფარცხები და სხვა ეროზიასაწინააღმდეგო მანქანები და მათი სათადარიგო ნაწილები, აგრეთვე შექმნან ამ მიზნით შესაბამისი საწარმოო სიმძლავრენი.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროსა და უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს მიეცათ უზრუნველყონ, რომ 1976-1980 წლებში ეროზიასაწინააღმდეგო ტექნიკის საწარმოო გაერთიანების ქარხნებში, ქარხანა „ალტაისოფლმანქანაში“, უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს საწარმოებში აშენდეს, რეკონსტრუირებულ იქნეს ობიექტები და ამოქმედდეს დასახული საწარმოო სიმძლავრენი, აგრეთვე აშენდეს საცხოვრებელი სახლები, ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტები ამ საწარმოთა მუშაკებისათვის. ამ მიზნით გამოყოფილია შესაბამისი კაპიტალური დაბანდებანი.

ჩარხსაშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობის სამინისტროს და ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტროს დაევალათ უზრუნველყონ, რომ დამზადდეს და მიეწოდოს 1977-1981 წლებში სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს — ეროზიასაწინააღმდეგო ტექნიკის წარმოებასთან დაკავშირებული საწარმოებისათვის, და უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭოს — სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის წარმოებასთან დაკავშირებული საწარმოებისათვის, საჭირო რაოდენობის ავტომატური ხაზები, ლითონსაჭრელი ჩარხები, სპეციალური, სამშედლოსაწნეხი, შესადუღი და ელექტროტექნიკური მოწყობილობა.

სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს დაუწესდა დავალება — შეიმუშაოს ახალი ეროზიასაწინააღმდეგო მანქანების კონსტრუქციები და წინადადება მიეცა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და საკავშირო გაერთიანება „საკოფლტექნიკასთან“ ერთად სახელმწიფო გამოცდის შედეგების შესაბამისად გადაწყვიტოს ამ მანქანათა წარმოების ორგანიზაციის საკითხი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროსთან ერთად დაევალა განსაზღვროს ბელტგადაუბრუნებლად დასამუშავებელი სათესი ფართობების ოდენობა, ნიადაგურ-კლიმატური ზონების მიხედვით და მთლიანად ქვეყანაში, აგრეთვე საამისოდ საჭირო ეროზიასაწინააღმდეგო ტექნიკის პარკი, და წარუდგინოს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს შესაბამისი წინადადებანი ხახალხოსამეურნეო გეგმების პროექტებში მათი გათვალისწინებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ უაზახეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი, უაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭო, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭო, სკკპ აღტაის სამხარეო კომიტეტი და სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტრო თავიანთ ძალღონეს მოახმარენ იმ ამოცანის გადაწყვეტას, რომ უზრუნველყოფ ქვეყანა ქარისმიერი ეროზიით დაზიანებულ მიწებზე სამუშაო მანქანათა კომპლექსით, რაც დიდ წვლილს შეიტანს ქვეყნის სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებაში.

ხირსის ზვრებში

როცა ყინვამ და შემდეგ გვალვამ დიდი საფრთხე შეუქმნა სიღნაღის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობების ვენახებს და მათ შორის ხირსის საბჭოთა მეურნეობის ზვრებს, ყველა მუშა, სპეციალისტი ერთიანი ძალით შეებრძოლა ბუნების ჭირვეულობას.

წლეულს რაიონში ყველაზე ადრე ყურძენი ხირსის საბჭოთა მეურნეობაში დამწიფდა. რთველის გაჭიანურება ერთი დღითაც კი ათეულ და ასეულ ტონობით ყურძენს დაკარგავს. ეს კარგად იცოან ხირსელებმა და ამიტომ კრეფამდე წინასწარ შეადგინეს რთველის გრაფიკი. გუშინ შეუდგნენ ახალი მოსავლის აღებას. დილიდან დაღამებამდე კრეფენ ყურძენს, ხოლო ხირსის ღვინის ქარხანაში (წარმოების უფროსი ა. კვალიაშვილი) თითქმის განუწყვეტლივ იღებენ ახალი მოსავლის ხარისხოვან ყურძენს. მარტო ერთ დღეს მიიღეს და გადაამუშავეს 140 ტონამდე ყურძენი.

პირველ დღესვე თავი გამოიჩინეს მევენახეებმა დ. ნოზაძემ, ა. ლოლაშვილმა, რ. ბიძინაშვილმა, მ. პატრუსონკომ, თ. ღვალაშვილმა, ე. ლოლაშვილმა, რომლებიც დღეში თვითეული 400 კილოგრამის ნაცვლად 600-700 კილოგრამ ყურძენს კრეფენ.

ბრიგადამ, რომელსაც ი. მჭედლაშვილი ხელმძღვანელობს, წლეულს ყველას აჯობა. აქ 55 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 70 ცენტნერ ყურძენს კრეფენ. ყურძნის უხვი მოსავლია იმ ბრიგადებშიც, რომელთა ხელმძღვანელები არიან ზ. ხუციაშვილი და შ. ზურაშვილი. გუშინ ბოდბის, მაღარის, ულიანოკის, ძველანგის, ტიბაანის, ბოდბისხევის კოლმეურნეობისა და სხვა სოფლების 14 კოლმეურნეობის 750 წევრი ყურძნის მოსავლის უდანაკარგოდ აღებაში ეხმარებოდნენ ხირსის საბჭოთა მეურნეობას.

მეურნეობას გადაწყვეტილი აქვს რთველი 403 ჰექტარზე 10 სამუშაო დღეში დაამთავროს, სახელმწიფოს 2.400 ტონა ხარისხოვანი ყურძენი მიჰყიდოს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 1.800 ტონისა, 55 ცენტნერის ნაცვლად ჰექტარზე საშუალოდ 61 ცენტნერი ყურძენი მიიღოს.

„კომუნისტის“ სპ. კორ.

სურათებზე: ზემოთ — რთველი ხირსის საბჭოთა მეურნეობაში; მესამე ბრიგადის წევრი ა. ლოლაშვილი ყურძნის კრეფის დროს.

ნ. ბერიშვილის ფოტო.

პირველ რიგში — ღირსეულნი

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკურმა კომისიამ შეაჯამა მშენებლობის, სასოფლო მშენებლობის სამინისტროებისა და „საქმთავარმონტაჟუსპეცმშენის“ მთავარი სამმართველოს სისტემაში შემავალ ორგანიზაციებს შორის საცხოვრებელი ბინების მშენებლობაში საუკეთესო მაჩვენებლების მისაღწევად გაშლილი შეჯიბრების შედეგები.

აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების ახალი პირობებით გათვალისწინებულმა გამარჯვებულთა წახალისების დამატებითმა ღონისძიებებმა გააქტიურეს სამშენებლო წარმოების მშრომელთა ბრძოლა სახელმწიფო დავალებების შესრულებისათვის.

საბანაო მშენებლობის რვა თვის გეგმა მთლიანად და ხარისხიანად შეასრულეს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს № 1, № 2, № 8, № 19, № 14 ტრესტების, „საქსპეცმშენის“ № 5 ტრესტის; საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის ხუთხეტაროს № 1, № 3, № 4, № 6, № 11 ტრესტების კოლექტივებმა.

კარგ წარმატებებს მიაღწია ტრესტ „საქელექტრომონტაჟის“ კოლექტივმა, რომელიც სისტემატურად ასრულებს საბანაო მშენებლობის გეგმას. არ შეუსრულებიათ რვა თვის გეგმა საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს და მის № 4 ტრესტს; „საქსპეცმშენსა“ და მის № 6, № 16 ტრესტებს; ქუთაისის და რუსთავის სახლთსაშენებელ კომბინატებს.

კომისიამ აღნიშნა, რომ მშენებლობის სამინისტროს სისტემაში საცხოვრებელი ბინების საექსპლოატაციოდ გადაცემის გეგმა აგვისტოში შეასრულეს მხოლოდ № 1 და № 2 ტრესტებმა. კუდად არის საქმე სექტემბერშიც: გეგმის შესასრულებლად უნდა გადაეცეს 155 ათასი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი, ხოლო ნაკლები ვალდებულებების გათვალისწინებით — 187 ათასი კვადრატული მეტრი. ჯერჯერობით აუთვისებელია 10,7 მილიონი მანეთი კაპიტალური დაბანდებანი.

გეგმის შეუსრულებლობის ძირითადი მიზეზი, როგორც საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მისამე პლენუმზე აღინიშნა, ის არის, რომ არ იჩრქნობა წარმოების ჯეროვანი ორგანიზაცია, არ არის აწყობილი მუშაობა, არარაციონალურად იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს. დიდია ყადრების დენადობა.

კომისიამ აღნიშნა, რომ პარტიული კომიტეტები და პროფკავშირის კომიტეტები ჯეროვნად არ სთხოვენ საშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს, რომ შეიქმნან ორგანიზაციული და ტექნიკური პირობები კოლექტივებს ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების უთუოდ შესრულების უზრუნველსაყოფად.

მშენებლობის მიმდინარეობისა და ხარისხისადმი საზოგადოებრივი კონტროლის ოპერატიული ჯგუფები ჯერ კიდევ მთლიანად არ ასრულებენ დაკისრებულ ამოცანებს, არ იღებენ სათანადო ზომებს სამშენებლო წარმოების ხარვეზების აღმოსაფხვრელად, საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე ცუდად ინერგება ბრიგადული იჯარის მეთოდი.

ჩამორჩენა იმის შედეგიცაა, რომ ნაკლოვანებანია მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში, ფერხდება საშენი მასალის მიწოდება. მშენებლები და მემონტაჟეები სამართლიანად უჩივიან იმას, რომ მათ ხშირად უგვიანებენ ცემენტის, აგურის, ინერტული მასალების, რკინაბეტონისა და ლითონის კონსტრუქციების, სანტექნიკური კვანძების მიწოდებას. ძგერმა ორგანიზაციებს. სამინისტროებსა და უწყებებს ჯერა და ვერ შეუთანხმებიათ მუშაობა სამშენებლო წარმოების ორგანიზაციისათვის.

მშენებლობის სამინისტროს № 1, № 8 და № 14 ტრესტების კოლექტივებმა წლის დამდეგს ინიციატივა გამოთქვეს, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულებდნენ წლიურ გეგმას და მშენებლთა ყველა დანარჩენ კოლექტივს მოუწოდეს მათთვის მიებაძათ. ამ კოლექტივებმა მართლაც ურიგოდ როდი იმუშავეს. მაგრამ ეს ბოლო ხანებია მკვეთრად უკლეს შრომის ტემპს და ახლა მათ ყველაზე გადამჭრელი ზომების მიღება მოუხდებათ ნაკისრი ვალდებულებების შესასრულებლად.

მიღწეულ შეჯიბრების ორგანიზაციის შემდგომ გაუმჯობესებას, უფრო სწრაფად და ეფექტიანად გამოიყენონ რეზერვები — ეს არის დღეს სამეურნეო ხელმძღვანელების, პარტიული და პროფკავშირული ორგანიზაციების უმნიშვნელოვანესი მოვალეობა. საჭიროა ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობის ამსახველი მონაცემები დაუყოვნებლივ ხდებოდეს ხოლმე სათუძლიანი ანალიზის საგანი. ეს შემდგომი წინსვლის უცილობელი პირობაა.

მთავრდება მესამე კვარტალი. მშენებლებს ახლა თავიანთ უპირველეს მოვალეობად უნდა მიაჩნდეთ ის, რომ უთუოდ შეასრულონ სახელმწიფოთა გეგმები. უზრუნველყონ წარმოების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლება, გაათმაჯობესონ ხარისხობრივი მაჩვენებლები, გადაჭრით იბრძოლონ უყაირათობის, მფლანგველობის წინააღმდეგ, მასალების, თუნდაც სახსრების, სამუშაო დროის მკაცრი მომჭირნეობისათვის.

სოციალისტური შეჯიბრების ხელმძღვანელობის რესპუბლიკური კომისიის სხდომის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. გ. ვ. კოლბინმა.

(საქინფორმი).

ამხანაგ ანდრია პავლეს-ძე კირილენკოს

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გულმხურვალედ გილოცავენ თქვენ, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს გამოჩენილ მოღვაწეს, სამოცდაათი წლის შესრულებას.

პარტიული და სახელმწიფო მუშაობის ყველა პოსტზე თქვენ მთელ ძალღონესა და გამოცდილებას ახმართ კომუნისტური მშენებლობის საქმის, მარქსიზმ-ლენინიზმის დიადი იდეალების თავდადებულ სამსახურს.

სულით და გულით გისურვებთ, ჩვენო ძვირფასო მეგობარო და ამხანაგო ანდრია პავლეს-ძევ, დღეგრძელობას, ჯანმრთელობას და შემდგომ ნაყოფიერ მოღვაწეობას ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხალხის საკეთილდღეოდ, კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სოციალისტური შრომის გმირის ამხანაგ ა. პ. კირილენკოს ლენინის ორდენითა და „ნამგალისა და უროს“ მეორე medal-ით დაჯილდოების შესახებ

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე დიდი დამსახურებისათვის და სამოცდაათი წლის შესრულების გამო სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი ამხანაგი **ანდრია პავლეს-ძე კირილენკო** დაჯილდოვდეს ლენინის ორდენითა და „ნამგალისა და უროს“ მეორე medal-ით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე

ნ. პოდგორნი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი

მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი.

1976 წ. 7 სექტემბერი.

ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის აზია-აფრიკის ქვეყნების პირველი რეგიონული კონფერენციის მონაწილეებს

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭო ძალისმიერი ირიგაციისა და დრენაჟის საერთაშორისო კომისიის აზია-აფრიკის ქვეყნების პირველი რეგიონული კონფერენციის მოხსენიებულებს, რომლებიც საბჭოთა უზენაეს დედაქალაქ ტაშკენტში შეიკრიბნენ.

მიწების ირიგაციისა და დრენაჟის განვითარება, წყალდიდობასთან ბრძოლა დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ სტაჯიური ძალებისაგან სოფლის მეურნეობის დაცვაში, სოფლის მეურნეობის წარმოების სტაბილური ზრდის პირობების შექმნაში. ცხობილია ისიც, რომ ამ ამოცანების წარმატებით გადაწყვეტა დაკავშირებულია სოფლის ყველი, დრომოკმული სოციალური სტრუქტურების მსხვრევასთან და საზოგადოებრივი ურთიერთობის პროგრესულ საწყისებზე გარდაქმნასთან სოფლის მშრომელთა ფართო მასების ინტერესებისათვის.

საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს მიწების მელიორაციის დარგში გამოცდილებისა და მეცნიერულ-ტექნიკური მიღწევების ფართო საერთაშორისო გაცვლას, დიდი მასშტაბის თანამშრომლობა აქვს დამყარებული აზია-აფრიკის ბევრ ქვეყანასთან მათი წყალთა მეურნეობის განვითარებაში. სრულ თანასწორუფლებიანობასა და ნაკლოვანებაზე დაფუძნებული ეს თანამშრომლობა დამაჯერებლად ცხადყოფს საბჭოთა კავშირის ლენინურ პოლიტიკას — განთავისუფლებულ ქვეყნების ეკონომიური და სოციალური პროგრესის ყოველმხრივ ხელშეწყობის პოლიტიკას, რეალური წვლილია ქვეყნად სამართლიანი საერთაშორისო პოლიტიკური და ეკონომიური ურთიერთობის დამკვიდრებაში.

კონფერენციის უზენაესის სს რესპუბლიკაში მოწყობა შესაძლებლობას მისცემს მის ყველ მონაწილეს თვალსაზრისი გაეცნოს მიწების მელიორაციის ფართო პროგრამას, რომელიც ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება. ის გარემოება, რომ კონფერენციაში მონაწილეობენ მეცნიერები და სპეციალისტები აზია-აფრიკის ქვეყნებიდან, რომლებსაც სარწყავი მიწათმოქმედების მრავალი საუკუნის მდიდარი გამოცდილება აქვთ, უეჭველად შეუწყობს ხელს კონფერენციის მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობის ამაღლებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო გამოთქვამს რწმენას, რომ კონფერენციის მუშაობა ხელს შეუწყობს ირიგაციის, დრენაჟის და წყალდიდობასთან ბრძოლის დარგში ყველა ქვეყნის ხალხთა ინტერესების შესაბამისი საერთაშორისო თანამშრომლობას შემდგომ განვითარებასა და განმტკიცებას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო.

რეგიონული კონფერენცია

ტაშკენტი, 7 სექტემბერი. (საქინფორმი). დღეს უზბეკეთის დედაქალაქში გაიხსნა აზიისა და აფრიკის ქვეყნების ირიგაციისა და დრენაჟის საკითხთა საერთაშორისო კომისიის პირველი რეგიონული კონფერენცია.

34 სახელმწიფოს რამდენიმე საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლები, რომლებიც ტაშკენტს ხელოვნებათა სასახლეში შეიკრიბნენ, ტაშით შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მისალმებას, რომელიც სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის მინისტრმა ე. ე. ალექსეევსკიმ წაიკითხა.

ამ საერთაშორისო კომისიის პრეზიდენტმა დოქტორმა მილომ გოლიმ (ჩეხოსლოვაკია) განაცხადა, რომ ეს ფორუმი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება ორი კონტინენტის ქვეყნების სოციალურ-ეკონომიური განვითარების გზაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, უზბეკეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა შ. რ. რაშიდოვმა გააკეთა მოხსენება „ორიგაცია და სოციალისტური გარდაქმნები შუა აზიის საბჭოთა რესპუბლიკებში“.

„პრავდის“ ფურცლებზე

შეჯიბრება აღზრდის სკოლაა

მთელი ჩვენი პარტიისა და ხალხის საქმიანობაში, თქვა უაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, — ახლა მთავარია XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულება, ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების ძირითად მიმართულებათა განხორციელება 1980 წლამდე. შრომითი კოლექტივები, რომელნიც ანალიზებენ თავიანთ შესაძლებლობებს, კისრულობენ ახალ, გადიდებულ ვალდებულებებს. ფართო გამოხმაურება მოჰყვა მრეწველობის მოწინავეთა პატრიოტულ ინიციატივას, რომელიც მიზნად ისახავს სათბობის მოპოვების, ელექტრო და თბოენერგიის წარმოების გადიდებას და მომჭირნეობას. ბევრი რესპუბლიკის, მხარისა და ოლქის სოფლის მშრომელებმა იკისრეს გადიდებული დამატებითი ვალდებულებები, რომ სახელმწიფოს მიჰყიდონ მეტი პური და სხვა პროდუქტი, გააფართოონ საშემოდგომო ნათესები და მოხნან მზრალად.

საყოველთაო-სახალხო შეჯიბრების ავანგარდში, როგორც ყოველთვის, კომუნისტები არიან. თვითეული მათგანის ღირსების საქმეა უჩვენონ მუშაობისადმი შემოქმედებითი დამოკიდებულების, მაღალი ორგანიზებულობისა და დისციპლინის, ამხანაგური სოლიდარობის მაგალითები, იყვნენ ახლის, მოწინავის მოთავენი. პირველადი პარტორგანიზაციების ამოცანა ის არის რომ დღენიადაგ ზრუნავდნენ რათა არა მარტო კომუნისტთა უმრავლესობამ, არამედ ყველა კომუნისტმა აქტიურად მიიღოს მონაწილეობა ამ საქმეში.

**ამ ბრძოლაში ადგილობრივ ორგანიზაციებს, ეკონომიკურ ორგანოებს, ეკონომისტებს, ინჟინრებს, ტექნიკოსებს, ფინანსისტებს, ბანკირებს, ბუღალტრებს, ეკონომიკურ ანალიზის ბიუროებს, ეკონომიკურ ინსტიტუტებს, ეკონომიკურ ფაკულტეტებს, ეკონომიკურ ტექნიკურ სკოლებს, ეკონომიკურ ანალიზის ბიბლიოთეკებს, ეკონომიკურ ინფორმაციის ცენტრებს, ეკონომიკურ ბიბლიოთეკებს, ეკონომიკურ ინფორმაციის

ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲝᲑᲐᲡ — ᲤᲐᲠᲗᲝ ᲥᲔᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲛᲘᲯᲜᲔᲑᲘ

ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ᲧᲣᲗᲐᲜᲔᲚ ᲛᲮᲒᲝᲚᲛᲭᲔᲠᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐᲡ, ᲠᲝᲛ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲨᲝᲑᲘᲚ ᲜᲘᲗᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲘᲡᲮᲜᲝᲑᲘᲗ, ᲗᲐᲕᲓᲐᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲦᲚᲐᲚᲘ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲝᲡᲢᲐᲢᲝᲑᲐ, ᲛᲗᲔᲚᲘ ᲛᲔᲛᲐᲕᲚᲔᲚᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲓᲒᲘᲚᲘ. ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲛ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲪᲜᲝᲑᲘᲚᲘᲐ, ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲣᲞᲐᲛᲜᲘᲡ 4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ 400 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘ ᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲝᲛᲪ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲔᲜ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲕᲐᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘᲡ.

ᲧᲣᲗᲐᲜᲔᲚᲗᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲓ ᲓᲐᲣᲭᲘᲠᲔᲗ ᲛᲮᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲨᲔᲛᲘᲬᲝᲜᲔ.

ᲒᲘᲒᲚᲘ ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ

(ᲧᲐᲖᲐᲮᲔᲗᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲗᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲗᲐᲜᲗᲛᲝᲛᲬᲔᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲛᲬᲠᲘᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲘᲓᲐᲜ).

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲐᲡ ᲬᲘᲜᲐᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲙᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲭᲜᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ. ᲠᲔᲚᲘᲯᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲝᲑᲐ — ᲤᲐᲠᲗᲝ ᲥᲔᲐᲠᲓᲐᲭᲔᲠᲐ

ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲞᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ-ᲡᲐᲛᲔᲣᲭᲜᲝ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲙᲠᲔᲑᲐᲖᲔ ᲘᲗᲥᲕᲐ, ᲠᲔᲚᲘᲯᲘᲡᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲜᲗᲘᲡ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲘᲡᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲔᲣᲭᲝ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲛᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲛᲬᲕᲔᲠᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲦᲔ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲛᲘᲛᲬᲔᲠᲘ ᲓᲐᲜᲘᲡᲜᲣᲚᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲬᲠᲘᲠᲘ ᲗᲔᲡᲚᲔᲑᲠᲘᲕᲜᲐᲛ, ᲐᲮᲚᲐᲜ, ᲣᲮᲔᲛᲝᲡᲐᲚᲘᲐᲜᲘ ᲯᲘᲨᲘᲑᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐ, ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ ᲐᲒᲠᲝᲢᲔᲥᲜᲘᲙᲘᲡ ᲓᲐᲜᲔᲠᲒᲐ.

ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲮᲕᲐᲠᲘ ᲓᲐᲣᲤᲐᲠᲘᲡᲮᲜᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ 26.000-ᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲗᲘᲡ 30.000 ᲢᲝᲜᲐ ᲮᲝᲠᲑᲚᲘᲡ ᲛᲘᲐᲬᲧᲝᲓᲐ. ᲓᲐ ᲐᲮ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲕᲘᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲝᲬᲝᲓᲔᲑᲐᲓ ᲒᲐᲘᲜᲘᲡᲐ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲝᲑᲐ, ᲬᲘᲗᲔᲚᲬᲧᲐᲠᲝᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲪᲘᲠᲔ ᲛᲬᲕᲠᲔᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ 41.300 ᲢᲝᲜᲐ ᲛᲐᲠᲪᲕᲐᲚᲝ ᲨᲔᲪᲮᲝᲜᲐ.

ᲐᲠᲐᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲞᲐᲡᲣᲮᲘᲡᲒᲐᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲡᲐᲭᲘᲠᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲖᲓᲝᲓᲐ. ᲘᲡᲘ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪ ᲛᲗᲔᲚᲛᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲛ, ᲣᲓᲘᲓᲘᲡᲘ ᲐᲚᲬᲠᲗᲝᲛᲒᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲐᲮᲚᲘᲥᲕᲔᲡ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲚᲗᲐ ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲘᲡᲜᲝᲑᲐ, ᲡᲬᲝᲠᲔᲯ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲛᲝᲛᲖᲘᲗᲝᲑᲡ ᲙᲕᲔᲛᲝᲗ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲣᲚᲘ ᲬᲘᲠᲘᲚᲔᲑᲘ.

ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲗᲐᲕᲔᲛᲘ

ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲔᲣᲚᲘᲡ წარმოება წითელწყაროს რაიონში ერთ-ერთი მთავარი დარგია. წლითიწლით იზრდება მისი ნათესი ფართობი, მოსავლიანობა. თუ წინათ ჰექტარზე სამუალოდ 20-25 ცენტნერის მიღება სასიხარულო იყო, ახლა ეს ჩამორჩენად ითვლება. უხვი და მყარი მოსავალი იმ დიდი გარდაქმნების შედეგია, რაც ოკანასკნელ წლებში მოხდა პარტიულ-პოლიტიკურ და სამეურნეო-ორგანიზატორულ მუშაობაში. ეს არის სწორი თესლბრუნვა, ახალი, უხვმოსავლიანი ჯიშების დანერგვა, მოწინავე აგროტექნიკის განსორციელება.

მთავარი კი, როგორც ყველგან და ყველაფერში, ადამიანია, მისი ცოდნა, გამოცდილება. გვიყვეს ისეთი მემინდვრეები, მექანიზატორები, რომლებიც თავისი საქმის ნამდვილი ოსტატები არიან — ვასილ ბოსტოღანაშვილი, გიორგი იაკობაშვილი (ზემომაჩხაანი), რევაზ ჯავახიშვილი (არბოშიკი), ალექსანდრე რიაბოვი, გაიოზ მეხრიშვილი (წითელწყარო), სოციალისტური შრომის გმირი ნიკოლოზ მელიქიშვილი, სულიკო სუნტაძე (ზემოქედი), გრიგოლ მნათობოვი (არხილოსკალო), ივანე გოგოშური (გამარჯვება), ირაკლი უძილეული (ქვემო ქედი) და სხვები. ძნელია ყველას ჩამოთვლა...

წლევანდელი უხვი მოსავალიც სწორედ მათი შრომისა და გარჯის შედეგია. კარგმა ხნულმა, კარგმა თესლმა, რა თქმა უნდა, ჩვენი ხელის შეწყობით, კარგი შედეგი გამოიღო.

მარცვლეულის უხვმა მოსავალმა რაიონის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ორგანიზაციები, უპირველესად კი კომუნისტები დიდი ამოცანების წინაშე დააყენა. მოსავლის სწრაფად, უდანაკარგოდ ღება რაიონის ყველა შრომელის მოწოდება იქცა. მოსავლის ასაღები ტექნიკა, ტრანსპორტი, მუშახელი როგორც მარცვლეულის აღებაზე, ისე პირუტყვის საკვების დამზადებაზე ისე განაწილდა, რომ დრო უქმად არ დაკარგულიყო. პარტიულმა ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობათა გამგეობებმა, მათთან ერთად რაიონის ჯანმთელობის დაცვის, ვაჭრობის, კულტურისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკებმა მთელი თვიანთა მუშაობა მინდვრად გადაიტანეს. მათი დახმარებითა და ხელშეწყობით მემნდვრეები, მექანიზატორები, აეტომძღოლები შეუფერხებლად მუშაობდნენ, ფართოდ გაიაღდა მათ შორის სოციალისტური შეჯიბრება. ისინი ორ ცვლად მუშაობდნენ — დღისით და ღამით და მოსავალი უდანაკარგოდ აიღეს.

24.415 ჰექტარიდან მარცვლეულს სამუალო მოსავლიანობამ რაიონში 36,5, ხოლო კერძოდ ხორბლისამ— 39,2 ცენტნერი შეადგინა. უფრო უკეთესი მაჩვენებლები მოიპოვეს (ჰექტარზე 40-45 ცენტნერი)—სოფლები: გამარჯვების (თავმჯდომარე თ. თარაშვილი, პარტბიურო მდივანი ვ. პოპიაშვილი), ზემოქედის (თავმჯდომარე ა. კობაიძე, პარტორგანიზაციის მდივანი ბ. ბაგაძე), ქვემო ქედის (თავმჯდომარე ი. ჯღუთაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ზ. ხუციურაული), წითელწყაროს (თავმჯდომარე შ. ყარალაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი რ. გარსეულიშვილი), ზემომაჩხაანის (თავმჯდომარე ნ. მამაიაშვილი, პარტორგანიზაციის მდივანი ე. ნატრაშვილი) კოლმეურნეობებმა.

რაიონის მხვნელ-მთესველებმა ტრადიციას არ უღალატეს და პირველი ბანალეწი მალალხარისხოვანი მარცვლი სახელმწიფოს მიჰყიდეს. მარცვლეულის დამზადება ჩვეს პარალელურად, სწრაფად, ორგანიზებულად მიმდინარეობდა.

რაიონის მშრომელებმა შეცვალეს თავიანთი პირვანდელი ვალდებულება. ნაცვლად 26.000-ისა სახელმწიფოს 30.000 ტონა ხორბალი მიჰყიდეს. და აი, როცა მთელ ჩვენს ქვეყანაში მოწოდებად გაისმა კრასნოდარელ მხვნელ-მთესველთა პატრიოტული თაოსნობა, წითელწყაროელებმა ერთხელ კიდევ აწონ-დაწონის სანელმწიფოსათვის 40.000 ტონა მარცვლეული მიეყიდათ. ბევრმა კოლმეურნეობამ ვალდებულება ერთიორად და მეტად შეასრულა, მთლიანად რაიონსა კი სახელმწიფო ბეღელში 41.300 ტონა მარცვალი შეიტანა.

არანაკლებ პასუხსაგებ და საპირო საქმეა პირუტყვის საკვების დამზადება. ისე, როგორც ერთ-ერთ ადგილებში, წითელწყაროს რაიონშიც დიდი სახალხო ლაშქრობა მოეწყო (ელით თუ ნამგლით კოლმეურნეობებს ეხმარებოდნენ საწარმო-დაწესებულებათა მუშაკები, კომკავშრომლები, მოსწავლე ახალგაზრდობა).

საერთო მოწადინებამ, თავდადებამ კარგი შედეგი გამოიღო. დღეზდებულია 9.777 ტონა თივა — გეგმის 162 პროცენტი, 32.647 ტონა სენაჟი — გეგმის 128 პროცენტი, 160.000 ტონა მარცვალ-ფურაჟი — გეგმის 107 პროცენტი, დიდძალი ნამჯა, სილოსი, თივის ფქვილი და სხვა სკვები.

მარცვლისა და საკვების ბალანსის შევსებას ემსახურება სანაწილოო თესვა, რომელიც ჩატარებულია 6.900 ჰექტარზე, მათ შორის სიმინდისა — 5.600 ჰექტარზე.

წარმატებით მიმდინარეობს მზესუმზირის აღება. მისი საპეტარო მოსავლიანობა 14-15 ცენტნერს აჭარბებს. ვვარაუდობთ, რომ გეგმით გათვალისწინებული 6.900-ის ნაცვლად სახელმწიფოს 9.000 ტონა მზესუმზირის თესლი მივყიდოთ.

რაიონის მშრომელთა ასეთი წარმატება თავისთავად როდი მოსულა. მშრომელთა შემოქმედება (რომლებსაც კომუნისტები უდგანან სათავეში) მიმართულია იმ რეზერვებისა და საშუალებების დროზე გამოძებნისა და ამოქმედებისაკენ, რაც ხელს უწყობს მუშაობაში მაღალი ეფექტის მიღწევას. ყველაზე მთავარი რეზერვი კი, როგორც ეს ხაზგასმით აღინიშნა სკკ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობებზე, ადამიანთა ორგანიზებულობა, მინდობილი საქმისათვის მტკიცე პასუხისმგებლობა, შეგნებული დისციპლინაა.

Თ. ᲒᲝᲫᲚᲐᲫᲔ,

საქართველოს კომპარტიის წითელწყაროს რაიკომის პირველი მდივანი.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜ ᲕᲐᲚᲘᲐ ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲛᲐ თავისი სოფლის — ფლავის (გორის რაიონი) საშუალო სკოლა დაამთავრა თუ არა, იქვე კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მწველავად დაიწყო მუშაობა და პირველივე დღიდან მინდობილი საქმისადმი სიყვარული გამოიჩინა. მოსავლელად მიჩენილი ჰყავს 12 ძროხა. მისი პირობაა წლეულს თვითეულ ძროხაზე 2.800 კილოგრამის ნაცვლად 3.100 კილოგრამამდე მიწოლა. მოწინავე მეცხოველე ნაკისრი ვალდებულების შესასრულებლად მთელი ძალღონით მუშაობს — რვა თვეში თვითეულ ძროხაზე 1.347 კილოგრამი რძე მიიღო და ამით 8 თვის დავალებას 247 კილოგრამით გადაჭარბა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ: კომკავშირელი მწველავი ვ. ᲮᲣᲑᲣᲚᲣᲠᲘ.

Ვ. ᲛᲔᲜᲔᲑᲘᲨᲕᲘᲡᲘᲡ ფოტო.

ᲕᲐᲚᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲠ ᲓᲐᲕᲬᲔᲠᲓᲔᲑᲘᲗ

ᲖᲣᲒᲓᲘᲓᲘᲡ რაიონის მეჩაიეებმა კრასნოდარელთა თაოსნობის პასუხად დამატებითი ვალდებულება იკისრეს — მოკრიფონ 2 ათასი ტონა ფოთოლი — სულ ადრინდელი გეგმა-ვალდებულებით — 46.300 ტონა. იმ ბრიგადის წევრებმა, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, გადავწყვიტეთ დამატებით მოკრიფოთ 100 ტონა ჩაის ნედლეული — სულ სეზონში — 580 ტონა.

ბრიგადაში დიდი ხანია, რაც შესრულდა ადრინდელი გეგმა-ვალდებულება. მანქანებით აღებულია 480 ტონა ფოთოლი.

კარგი მოვლის შედეგად პლანტაციებში ფოთოლი საკრეფად მუდამ არის, ჩვენც მის დროულად, უდანაკარგოდ აღებას არ ვაყოვნებთ, ყოველდღე მანქანით ტონობით ხარისხოვან ფოთოლს ვკრეფთ.

Ვ. ᲛᲔᲣᲜᲐᲠᲒᲘᲐ,

ზუგდიდის რაიონის ინგირის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მექანიზატორთა ბრიგადის ხელმძღვანელი, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲦᲕᲚᲘᲚᲘ

ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲡᲐᲬᲐᲠᲛᲝ ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲨᲘ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘᲐ ᲛᲝᲬᲧᲝᲓᲔᲑᲐᲡ. ᲛᲔᲪᲮᲠᲘ ᲮᲣᲗᲬᲚᲔᲣᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲛᲔ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡᲗᲐᲜ ᲐᲠᲘᲡ ᲓᲐᲛᲬᲧᲔᲑᲘ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ ᲛᲔ ᲛᲘᲛᲬᲧᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲠᲕᲔ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲓᲐ

მსოფლიოს აქეთაქეთ

ფაქტები, პრობლემები

საკადესი და უცხოეთის პრესის საკვანძო ინფორმაციები იუწყებიან

დიდი ინტერესი

მსოფლიო პრესა, სხვადასხვა ქვეყნის საზოგადო მოღვაწენი ფართო კომენტარს უძღვნიან სიტყვას, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ლ. ი. ბრეჟნევმა წარმოთქვა ალმა-ათაში ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვამ, წერს ჩეხოსლოვაკიის „რუდე პრავო", უდიდესი ინტერესი და ფართო რეზონანსი გამოიწვია, იმიტომ, რომ საპრეგრამო ხასიათი აქვს და სახავს სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა თანამიმდევრული განხორციელების გზებს. მასში მოყვანილი ფაქტები მოწმობენ საბჭოთა სოფლის მეურნეობის ძლიერებას, მისი მშრომელების თავდადებას. ამინდის ფრიად მძიმე პირობების მიუხედავად, ქვეყნის ტერიტორიის მეტ ნაწილზე, როგორც უკვე ახლა ჩანს, მარცვლეულის კარგ მოსავალს მოიწვევენ.

საბჭოთა ხელმძღვანელის სიტყვაში ლრმად არის გაშუქებული არა მარტო სოფლის პრობლემები. მან მიაპყრო აგრეთვე სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების უდიდესი ყურადღება. ახალი იმპულსი მიანიჭა მათს შრომითს აქტივობას და ღრმა, ხანგრძლივი ვაკლენას მოახდენს ქვეყნის შინაპოლიტიკურ ცხოვრებაზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლას საყოველთაო ინტერესით შეხვდნენ, ადასტურებს პოლონური „ეიჩპ ვარშავი". ამ სიტყვაში გაანალიზებულია მიმდინარე ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა შესრულება, ამასთანავე ეს არის შეფასება იმ გადაწყვეტილებათა ეფექტიანობისა, რომლებიც საბჭოთა კომუნისტების პარტიის უმაღლესმა ფორუმმა მიიღო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის შემდგომი ყოველმხრივი განვითარების უზრუნველყოფის, აგრეთვე ხალხის ცხოვრების დონის მნიშვნელოვანი ამაღლების მიზნით.

ბულგარული „ოტეჩესტვენ ფრონტი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ყველა ქვეყანაში დიდი პატივისცემითა და ინტერესით აღიქვამენ ხოლმე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლებს. მსოფლიოს ხალხებმა იციან, რომ საბჭოთა ხელმძღვანელების სიტყვას მუდამ საქმე მოსდევს, წერს გაზეთი. ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათაში წარმოთქმული სიტყვა მუშაობის ლენინური სტილის კიდევ ერთი სარწმუნო მაგალითია. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა აღნიშნა სოფლის მეურნეობაში მიღწეული წარმატებანი, ამასთან პირდაპირ და ფაფარავად მიუთითა არსებულ ნაკლოვანებებზე. ეჭვი არ არის, რომ შეხვედრა ალმა-ათაში საბჭოთა კავშირის ეკონომიკის შემდგომი აღმავლობის ახალი სტიმული იქნება.

განსაკუთრებული ინტერესით გაეცანით სიტყვას ჩვენ, აგრარული სპეციალისტები, განსაცხადა უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ იოჰენ პამერმა. პუბლიკაციის მოსავლის უდანაკარგოდ აღება უნგრეთშიც საერთო სახელმწიფოებრივი საქმე გახდა, სწორედ ისე, როგორც ეს ხდება ჩვენს საბჭოთა მეგობრებთან, კერძოდ ყაზახეთში.

ჩვენს ჯანსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვები იმის შესახებ, თუ როგორ დავიცავთ სოფლის მეურნეობა ამინდის ჭირვეულობის ზემოქმედებისაგან. უნგრეთის გამოცდილება ადასტურებს ამ აზრების სისწორეს. იმ მეურნეობებში, სადაც ჩვენ მექანიზაციისა და საკვების მომარაგების მაღალ დონეს მივაღწიეთ, დაბურგეთ წარმოების თანამედროვე მეთოდები, ამინდის მერყეობა გაცილებით ნაკლებად ასვამს დაღს მოსავალს. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის სიტყვა განამტკიცებს ჩვენს ჯადაწყვეტილებას ვიმუშაოთ ამ მიმართულებით.

იუგოსლაური გაზეთი „ოსლობოდენიე" სათაურით „ახალი ხუთწლედის კარგი სტარტი" წერს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის გამოსვლიდან ჩანს, რომ საბჭოთა მთავრობა კმაყოფილია მეათე ხუთწლედის სტარტით. ამ სიტყვას, ასკვნის გაზეთი, დიდი მამობილიზაცია მნიშვნელობა აქვს საბჭოთა მშრომელებისათვის.

საფრანგეთის საქმიანი წრეების ორგანო გაზეთი „ეპრ" აღნიშნავს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის პირადი ავტორიტეტის მნიშვნელობას მოსავლისათვის ბრძოლაში.

ალმა-ათაში გამართულ ყაზახეთის პარტიულ-სამეურნეო აქტივის თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ წარმოთქმული სიტყვა დამაჯერებლად მოწმობს, რომ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება. საბჭოთა ადამიანები არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც ასრულებენ საგეგმო დავალებებს. ხაზგასმით აღნიშნა მალაგასის გაზეთი „იმუნუგუ ვაუვაუს" მთავარმა რედაქტორმა მრრის რაკუტუნემ.

„საბჭოეთი სამაგალითოა ინდოეთისათვის სახალხო მეურნეობის ყოველმხრივი ეფექტიანი განვითარებით. ანტიტომ ინდოეთი სიხარულით მიეგებალმება საბჭოთა ეკონომიკის წარმატებებს, — თქვა პროგრესული ყოველკვირეულის „ნიუ უმანეს" პოლიტიკურმა მიმომხილველმა ბირშ მაშიხერმა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მიერ ალმა-ათის თათბირზე წარმოთქმული სიტყვა საინტერესო ფაქტებს შეიცავს იმ ახალ მიღწევებზე, საბჭოთა ხალხმა რომ მოიპოვა ეკონომიკის ფრონტზე. ლ. ი. ბრეჟნევის ის სიტყვები, რომ მოსავლის ბედიც და ქვეყნის ეკონომიური განვითარებაც საბოლოო ანგარიშით მთლიანად არის დამოკიდებული მრავალმილიონიანი მასების შრომითს აქტივობაზე, აქტუალურია ინდოეთისთვისაც. მხოლოდ გამრჯე შრომის მეოხებით მიაღწევს ინდოეთი ხალხი მიზანს, რომელიც ინდოეთის მთავრობამ დაუსახა ქვეყანას, — მიაღწევს სოციალურ და ეკონომიურ პროგრესს".

ტრიბუნა

მკითხველი გვთავაზობს, ავტორები ჰვიდრჩევს, საკითხს აყენებენ

არ მოვადუნოთ ყურადღება

ენის სიწმინდისათვის

ბევრი რამ დაწერილა ქართული ენის სიწმინდის დაცვის დიდ მნიშვნელობაზე, ქართული ენის დამახინჯების ბევრი მაგალითი გამომზეურებულა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ზედმეტი არ იქნება კვლავ მივუბრუნდეთ ამ უაღრესად საჭირო თემას. ზედმეტი კი არა, — აუცილებელიც არის ჩვენმა პრესამ რაც შეიძლება ხშირად აიმაღლოს ხმა ენის კულტურის მაღალი დონის მისაღწევად. ამ დიდი საქმისათვის მეცნიერების, მწერლების, მთელი ქართველი ინტელიგენციის აქტიური ბრძოლა უდავოდ კარგ შედეგს გამოიღებს — დედაენა დაგვიხვეწეს, რუსთაველს, ილიას, აკაკის სიტყვის მშვენება და სილამაზე არ დაგვეკარგება.

ენის სიწმინდის დაცვა საერთო-სახალხო საქმეა. მისთვის ყველას უნდა შესტკიოდეს გული, ძალისა და უნარის შესაფერისად ყველა უნდა ცდილობდეს თავისი წვლილი გაიღოს ამ დიდ ეროვნულ, საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ საქმეში. ამტომ, მეც, ჩემ წილად, მიზნად დავისახე ამ წერილში ზოგიერთ მტკივნეულ საკითხზე ვილაპარაკოთ.

რამდენჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენს ქალაქში (და საერთოდ რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონებში) საწარმოებსა, დაწესებულებებსა და სავაჭრო ობიექტებში წარწერები დამახინჯებულია, რასაც, სამწუხაროდ, ზოგიერთნი წვრილმანად თვლიან. არა, ეს წვრილმანი როდია!

ჩვენს თვალს არ გამოეპარა მახინჯი, სწორი ქართულისათვის შეუფერებელი წარწერები, რომლებიც უნიერსალური მაღაზიის „თბილისის" თაროებზე გამოფენილი საქონლის ნიმუშებს „ამშვენებს". ადიილა (უნდა იყოს: საბანი), მტვრის დასაბერტყი (მტვრის...), ბოჩკა (ცასრი), თვალის საპრუტი (...საპვრტი), საათის ჯაჭვი (ძეწკვი. ზოგან სწორად არის: „ძეწკვი"), ლექიორის ნაკრები, ტურისტული ნაკრები (ლაპარაკია ჭიურჭელზე), ოქდა იყოს ნაკრები ლექიორისთვის, ტურისტისათვის, პროპკის გასახსნელი (საცობის მოსახსნელი), ბრონზეს კრასკა (ბრინჯაოს საღებავი), ფეხსაცმლის ხოჭი (...ჯაგრისი), გირის ნაბორი (...კომპლექტი, გროვა), საკანფეტე (საკამფეტე), შპაკლიოკა (გოზეკ, საგოზავი), წყლის კრუშკა (წყლის ტოლჩა), ჰოდნოსი (ლანგარი, სინი), ბიტონი (ბიდონი), ზაჟიგალკა (სანთებელა), სეეტოფილტრი (შუქფილტრი), ფუტლიარი (ბუდე), ვაზა (ლარნაკი), მეტალის მოგუდი (თმისსახვევი ლითონისა), ნელსაცხებელი „რამაშკა" (...გვირილა), სპონი „ზემლიანიჩნი", „სემეინოე", „დეტსკოე", (...მარწყვის, სოოჭახო, საბავშვო), შარფი (კაშნე) შესატყვისად, — არ არის სწორი; კაშნე), პრუფინა (ზამბარა), სვეტლის ნაბორი (საბურღავი კომპლექტი), ზუბილა („ოოჯი"), ტრუბის გასაღები (ბილის...), მიკროშზომი (მიკრომეტრი), პასტა „პოლირო	ა", (...გასაპრიალებელი).

ახლა დავაკვირდეთ გაზეთებს და მოვუსმინოთ რადიოს. აქაც მრავალ უმართებულობას წავაწყდებით.

დავნიშნლავდით (უნდა იყოს დავნაძლევედით), ბევრი ორდენები (ბევრი ორდენი), მამაჩემის (მამაჩემის), მიგვანიშნებს (უკარგისად გვეჩვენება. ეს ზმნა რომ ვაუღლოთ, უხერხულობას წავაწყდებით: მე მიმანიშნებს, შენ მიგანიშნებს, მას მიანიშნებს, ჩვენ მიგვანიშნებს, თქვენ მიგანიშნებთ, მათ მიანიშნებს. ჩვენი აზრით, „მიგანიშნებთ" არაფრად არ ვარგა, ხელოვნურია, ამ ბოლო დროს შეთითხნილია. იქნებ სჯობდეს: მიგვითითებს, გვაგონებს ან გვიჩვენებს. უპირატესობას პირველს ვანიჭებთ), უმაღლესი ხარისხის ფქვილიდან (...ფქვილისგან), აძოვს (აძოვებს), საპატიოსანებულ, საპატივცემულოდ (პატივსაცემად), დასაქმებულობა (დასაქმება), თვითეული ჰექტარი მაღალმოსავლიანი უნდა იყოს (...მაღალმოსავლიანი..., შემოსავალი და მოსავალი სხვადასხვა ცნებაა), დასასრულ გადაიღეს რენტგენის სურათი (დასასრულს), მისაცემელი (მისაცემი), ფუტკრები დაფრქვნენ (...დაფრინავდნენ), მრავალი დოქტორები (მეცნიერების მრავალი დოქტორი), კონკურსის გამაჯვებულებს გადაეცათ პრემიები (კონკურსში...), სოცშეჯიბრების გამარჯვებულები დაჯილდოვდნენ (სოცშეჯიბრებაში...), თუ თქვენი კანი ცუდად რეაგირებს საბითი დაბანაზე (უნდა იყოს: თუ თქვენს კანზე ცუდად მოქმედებს საპნით დაბანა), ერთი მწიკვი სოდა (როგორ გავიგოთ „მწიკვი"?! კუთხურია და გაუგებარი. სოდას წონა აქვს და დამწერს „მწიკვის" ნაცვლად 1 გრამი უნდა დაეწერა, ან მეტი ან ნაკლები), გვიამბობს მწერალი (...მწერალი), თბილისის 31-ე რკინიგზის ტექნიკუმი (თბილისის რკინიგზის 31-ე ტექნიკუმი), ოქ ჯდებიან პიესის გმირები (იქ სხდებიან...), თამაზმ გვითხრა (თამაზმა...), ლირიული (ლირიკული), ხელწერა (ხმარობენ სიმღერის ორიგინალობის გამოსახატავად, რაც არ მიგაჩნია სწორად), შეასრულეთ შვილური მოვალეობა სამშობლოს წინაშე (...ბავლის...), ხორკეულტერი (ქორმაისატერი), დაუსჯელი დანაშაული (...დამნაშავე), წმიდათა-წმიდა (წმიდათაწმიდა), ასევე უკეთესებელვყოფთ ტექნიკურ სამუალებას (...უკეთესებელვყოფთ...), სახელმწიფო ხახნის შემოსულობათა უდიდესი ნაწილი (სახელმწიფო შემოსავლის...) ემღერივარ (ემღერი), დავა გაგრძელდა სამი წელი (სამ წელს)...

ზემოთ დასახელებული უმარტივესო ფორმები მცირე ნაწილია იმ მაგალითებისა, რომელთა მოყვანაც აქ შეიძლებოდა, რომ იყოს ერთ წერილში ამის საშუალება. სიგანეთი წერილის მოცულობა არც გრცელი მსჯელობისა და მეცნიერული დასაბუთების საშუალებას იძლევა. თუმცა ეს ყოველთვის საკადებულო როდია, და მით უმეტეს მაშინ, როცა მოსაზრება უდავოა, სურათი ისეც ნათელია.

დასასრულს კვლავ გვინდა გავიმეოროთ: ქართული ენის სიწმინდეს რაც მეტი ყურადღება დავთმობა, მით უკეთესია. ყურადღება არ უნდა მოვადუნოთ!

ი. თოდუა,
პედაგოგი.

ნოსა

ჭადრაკი

ნოსა გაფრინდაშვილი 1962 წელს ჭადრაკის დედოფლის ტიტულს რომ ავდა, აკადემიკოსმა ნიკო ციცხვიანმა მას ჭადრაკის უძველესი კომპლექტი უსახსოვრა. საჩუქარს ასეთი ბარათიც ახლავ: „შენ სიტყვაში თქვი: ძველად ქართველები მზითევში ჭადრაკს ატანდნენო. რატომ დღესაც არ გავაკეთოთ ეს? ამიტომ გთხოვ ეს ჭადრაკიც შენს „მზითვის წიგნში" შეიტანო".

მართლაც რატომ არ უნდა გვქონდეს მზითვისა თუ არა, საუკეთესო ჭადრაკი მაინც? მით უმეტეს, როცა ასეთი სიტყვები გესმის: „საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამყაროო ალბათ... არსად იქნებოდა. თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის საერთო განვითარებაში, ჭადრაკის სამყაროში განუზომელია", — როგორც თქვა ფიდე-ს გენერალურმა მდივანმა ი. ბაეკერმა (ოლანდია) ნ. გაფრინდაშვილი — ნ. ალექსანდრიას მატჩის საბოლოო ანგარიშზე.

ეკითხეთ ჩვენ

შეეჭმნათ სასაჩუქრო ქართული ჭადრაკი

ნის საზეიმო დახურვაზე. ეს დიდი აღიარება ბევრსაც გვიკვლევს.

ჩვენი მამა-პაპა სამზითვო ჭადრაკს საგანგებოდ ახარატინებდა სპილოს ან ლომეფშაპის ძვლისაგან. ეს ჭადრაკი განძი იყო. მას ქართული ორნამენტი ამშვენებდა. საბედნიეროდ, შემოვარჩინ XVII-XVIII საუკუნეების დროინდელი ნამზითვი ჭადრაკის ერთი კომპლექტი, რომელიც თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორის დ. ციცაშვილის ოჯახში ინახება.

ამ ოქროსი ჭადრაკის ორსუბობა გვაფიქრებინებს, რომ შეიძლება შეიქმნას ქართულ ეროვნულ მოტივებზე აგებული სასუფევნირო ჭადრაკის კომპლექტი. მით უმეტეს, რომ ასეთი ცდა უწინაც ყოფილა.

1912 წლის ჟურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში" დაისტამბა ცნობა, რომ „მხატვარ ვალერიან სადამონ-ერისთავს დაუმზადებია ჭადრაკის ახალი კოჭები... როგორც შევიტყვეთ, მხატვარი ერთ-ერთ გამოფენაზე გამოფენს ამ თავის ახალ ნაწარმოებთ". საზოგადოებრიობა დიდი ინტერესით შეგებებია ამ ამბავს, მაგრამ როგორც ჩანს, მხატვარს საუშაო არ დაუთმავრებია და არც გამოუფენია იგი. მართალია, მან შექმნა ეროვნულ შინაარსზე აგებული მხატვრული ჭადრაკი, მაგრამ სამუშაროდ, კომპლექტი სრული არ არის, ზოგი ფიგურა დაუთმავრებელია. ჩანს შემდგომშიც არ უცდია ახალგაზრდობაში ჩაფიქრებულის ხორცშესხმა, როცა ცხობილი მხატვარ-დეკორატორი და თბილისის სამხატვრო აკადემიის პროფესორი ვახდა. ვ. სიდამონ-ერისთავის ჭადრაკი ხიესა, ოსტატურად გამოკვეთილი.

ქართველებს შორეულ წარსულშიც ჰქონდათ ეროვნულ მოტივებზე შექმნილი ფიგურები. სწორედ ამ აზრს ვეკარგნებს აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ დმანისის გათხრებში (1937 წ.) მიგნებული XII-XIII საუკუნეების დროინდელი სამი ფიგურა. ეს ნაპოვნი ამკამად თბილისში, ხელოვნების მუზეუმში არის დაცული.

სახელგანთქმული მწერლის ნიკო ლორთქიფანიძის შთამომავლობას შემორჩა ქართული ჭადრაკის კომპლექტი. ეს ჭადრაკი მწერლის მამას—დასავლეთ საქართველოს მომრიგებელ მოსამართლეს მ. ლორთქიფანიძეს XIX საუკუნის 50-ან წლებში მოართვა მისი სრფლის—ჩუნეშის მკვიდრმა ვლეხმა, ვინმე ხაჩაპურიძემ, რომელმაც იცოდა ამ ძველის-ძველი თამაშით თავადის გატაცების ამბავი. სხვათა შორის, ამ ჭადრაკით უმაეტრიათ სვანეთის „ოკანასკნელ მთავარს მურზაყან დადეშქელიანს, აკაკი წერეთელსა და მამაძისს როსტომს, ნიკო დადიანს (მწერალ შალვა დადიანის მამას) და სხვებს. მერე ამ ჭადრაკით უთამაშიათ მწერლის მეგობრებს— რეკონსტრუქტორი ა. წულუკიძეს, მწერალ კოტე მაყაშვილს, პოეტებს პაოლო იამბოლისა და ტიციან ტაბიძეს, აკადემიკოს ს. ჩოლოყაშვილსა და სხვებს.

ლორთქიფანიძისეული ჭადრაკი, როგორც აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილის მიერ ნაპოვნი ფიგურები, წმინდა ქართულია. მათთვის დამახასიათებელია სფერული ფორმა. და წერეხზეები. ოგივე ყაიდისაა პროფესორ დ. ციცაშვილთან დაცული ნამზითვი ჭადრაკის ფიგურები. იქნებ ამ ფიგურების ფორმა ქართულ ორნამენტთან, არქიტექტურასთან და, შესაძლოა, ასტრონოლოგიასთანაც მჭიდრო კავშირში იყოს. ეს საკითხი შესწავლას მოითხოვს.

როგორც ვხედავთ, ქართველებს გვაქვს ეროვნულ მოტივებზე ჭადრაკის ფიგურების გამოჩარხვის გამოცდილება. მაგრამ სასუფევნირო ჭადრაკი მაინც არ გვგაჩნია.

როგორი წარმოგვიდგენია მხატვრული, ანუ სასუფევნირო ჭადრაკის კომპლექტი? უპირველეს ყოვლისა, იგი ეროვნული უნდა იყოს. ფიგურები შეიძლება ასახავდნენ ქართული ზღაპრების გმირებს, ლეგენდად ქცეულ პიროვნებს. ან, კანა მომზიდლაი არ იქნება, ამ ჭადრაკში „ეფეხსტყაოსნის" გმირები რომ განსახიერდნენ? სწორედ ასე მოიქცნენ ყორგიზები, როცა სასუფევნირო ჭადრაკში თავიანთი ეპოსის გმირები გააცოცხლეს. დაფაც ეროვნული ორნამენტით შეამკეს, თუმცა იგი მაინც „ბრძოლის ველად" დარჩა. ქართული ლიტერატურა თუ ფოლკლორი, ისტორია თუ ხელოვნება უშრეტი წყაროა ასეთი ჭადრაკის ფიგურების შესაქმნელად.

ჩვენში არც მხატვრობა, არც საქრეთლისა და ძერწვის ხელოვნებას მდიდარი გამოცდილება და ოსტატობა არ აკლია. საჭიროა ჴონდომება. საქმისადმი მამულიშვილური მიდგომა, რომ შეიქმნას სასუფევნირო ქართული ჭადრაკი, როგორიც ეს შეჰფერის ერის საჭადრაკო წარსულსა და ჭადრაკის დედოფლის ქვეყანას.

თ. გიორგაძე,
საქართველოს სსრ დამსახურებული ჟურნალისტი, საერთაშორისო არბიტრი.

სურათზე: ვ. სიდამონ-ერისთავის მხატვრული ჭადრაკის კომპლექტის ფიგურები.

ბოურიგდნენ რასისტებს

ჰ. კისინჯერის მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან

ციურიხი, (საკადესი). აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის ჰ. კისინჯერის სამდღიანი მოლაპარაკება სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრთან ფორსტერთან.

როგორც პრესკონფერენციაზე განაცხადა ჰ. კისინჯერმა მოლაპარაკება „სასარგებლო იყო", და დასძინა, რომ ფორსტერმა იგი მიიწვია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

კვლავ უარი უთხრეს

პეკინი, (საკადესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში სსრ კავშირის საელჩოს თანამშრომლებს უარი უთხრა ხარბინში, დალნინში, პორტართურში, შენიანსა და ჩანჩუნში გამგზავრებაზე, სადაც სურდათ გვირგვინებით შეემკოთ ამ საბჭოთა მეომრების საფლავები, რომლებიც ჩინეთის განთავისუფლებისათვის იბრძოლეს მილიტარისტთა წინააღმდეგ ბრძოლებში დაიღუპნენ.

მაო ზე-დუნი

თევზი ზღვიდან გადააგდეს

ვაშინგტონი, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ არ აპირებს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის კ. კელის დათხოვნას. ეს გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც გამოძიების პრესის ცნობები იმის თაობაზე, რომ კელი ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

ამ ცნობის თანახმად, გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი საჩუქრებსა და სხვა ძღვენს იღებდა, კერძოდ ხელვეფითი თანამშრომლებისგან, ან უწყვიის აგენტებს სხვადასხვა ბონუსებს ანაწილებდა. ეს თვით კელის ალიარებინეს. იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც პრეზიდენტის დავალებით მოამზადეს, აგრეთვე დადასტურებული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „ნომერ პირველი პოლიციელი" ხშირად ანგარებანი მიზნებისათვის იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას.

თავის გამართლებას რომ ცდილობდა, კელიმ განაცხადა, თითქოს ეს სამრახისი მოქმედება მისი ხელქვეითების ზედმეტი „თავგამოდებით" აიხსნებოდეს. მან ხაზინას გარკვეული ხარჯებიც კი აუნაზღაურა, თუმცა, რამდენიმე წლის დაგვიანებით. ამ ბინძურ ამბავში საზოგადოებრიობა განსაკუთრებით იმ ფაქტმა აღაშფოთა, რომ ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინათ, როცა ფართოდ გახდა ცნობილი, რომ გამოძიების ფედერალური ბიუროს ზედაეშელონებში ფართოდ ყოფილა გავრცელებული მექრთამეობა და კორუფცია, კელის პირობა დადო „სრულ წესრიგს დავამყარებო". მაშინ ჯერ კიდევ არ იცოდნენ, რომ წესრიგის დამყარება ზემოდან უნდა დაიწყოთ.

გამოძიების მასალების საფუძველზე ეუსტიციის სამინისტროს პროკურორმა წინადადება წამოაყენა გადაეყენებინათ კელი გამოძიების ფედერალური ბიუროს თანამდებობიდან. მაგრამ თეთრ სახლში ანგარიში არ გაუწიეს ამ რეკომენდაციას. გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფს წინადადება მისცეს მხოლოდ და მხოლოდ „აენაზღაურებინა საქვეო შენაძენისა და მომსახურების ღირებულება". ამის შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, კელის... „გამოძიების ფედერალური ბიუროს მაღალი სტანდარტების შესაბამისი ყველა მონაცემი აქვსო".

მზარდი უმუშევრობის, ცხოვრების დონის დაქვეითებისა და რასიზმის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ვაშინგტონის ქუჩებში ათასობით მშრომელი გამოვიდა (სურათზე). მათ მოითხოვეს სამუშაო ადგილები რამდენიმე მილიონი უმუშევრისათვის, ხელფასი, რომელიც უზრუნველყოფს საარსებო მინიმუმს, განათლების უფლება რასობრივი დისკრიმინაციის გარეშე.

ცბ-ასოციერეიტედ პრესის ფოტო.

კაკაოტალის ქვეყნებში

ოქროს ფულად გადააგდეს

ვაშინგტონი, (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა გამოაცხადა, რომ არ აპირებს გამოძიების ფედერალური ბიუროს დირექტორის კ. კელის დათხოვნას. ეს გამოაცხადეს მას შემდეგ, რაც გამოძიების პრესის ცნობები იმის თაობაზე, რომ კელი ბოროტად იყენებდა თავის სამსახურებრივ მდგომარეობას.

ამ ცნობის თანახმად, გამოძიების ფედერალური ბიუროს შეფი საჩუქრებსა და სხვა ძღვენს იღებდა, კერძოდ ხელვეფითი თანამშრომლებისგან, ან უწყვიის აგენტებს სხვადასხვა ბონუსებს ანაწილებდა. ეს თვით კელის ალიარებინეს. იუსტიციის სამინისტროსთვის წარდგენილ მოხსენებაში, რომელიც პრეზიდენტის დავალებით მოამზადეს, აგრეთვე დადასტურებული იყო, რომ ამერიკის შეერთებული შტატების „ნომერ პირველი პოლიციელი" ხშირად ანგარებანი მიზნებისათვის იყენებდა სამსახურებრივ მდგომარეობას.

თავის გამართლებას რომ ცდილობდა, კელიმ განაცხადა, თითქოს ეს სამრახისი მოქმედება მისი ხელქვეითების ზედმეტი „თავგამოდებით" აიხსნებოდეს. მან ხაზინას გარკვეული ხარჯებიც კი

ზვიგენების ქინინი

ყველაზეფრი დაიწყო ამერიკული ფილმით „ყბები", უფრო ზუსტად, მისი „მთავარი გმირთან" — კაცეტამია ზვიგენით. ახალზელანდიელმა კინოსაქმოსანმა ჰეინზ ტრუმბა განაცხადა, „ყბების" დემონსტრაციის მარტო პირველმა დღეებმა მრავალი ათასი დოლარი მოგვიტანაო. ადგილობრივი გაზეთები წერენ, რომ ავსტრალიაში კინოსეანსის დროს ვიღაცამ სული ლაღია. სამაგიეროდ მეორე ავსტრალიელმა — ვინმე უოლი ჰიბინსმა გამოთქვა სურვილი მილიონ დოლარად „წყალქვეშა კორიდაში" ზვიგენს შევერკინებიო. „ვინც კი ამას შეხედავს, იდიოტია. მაგრამ ცუდი ბიზნესმენი ვიქნებოდი, ასეთი საქმისათვის ხელი რომ არ მომეკიდა", — გამოეხმაურა ჰიბინსის წინადადებას ამერიკელი პროდიუსერი იულიამ სარჯენტი.

მაგრამ ნამდვილი ზვიგენები რაღას შერგნიან? ახალი ზელანდია, როგორც მოგეხსენებათ, ზღვებით არის გარშემორტყმული. სტატისტიკა ამტკიცებს, რომ ზვიგენებმა ამ ბოლო 120 წლის მანძილზე ცხრა კაცი იმსხვერპლეს. მაგრამ „ყბების" ჩვენების გამო, როცა მის „განსამტკიცებლად" ამავე სახელწოდების წიგნი უზარმაზარ ტირაჟით გამოუშვეს, ახალი ზელანდიის პლაჟები პაპანაკება სიცხეში ჩვეულებრივზე ბევრად უფრო დაცარიელებული იყო. მისმა მეპატრონეებმა დიდძალი სახსრები მოახმარეს რეკლამას, რათა შეენელებინათ პანიკა. ერთი სიტყვით, სანამ ერთი საქმოსნები ზვიგენით მდიდრდებოდნენ, სხვები ზარალდებოდნენ.

კუნძულები „სათადარიგოდ"

სინგაპური ტერიტორიულ წყლებში ორმოცდაათზე მეტი კუნძულია, რომლებიც დიდხანს „ჩრდილში" რჩებოდა. ახლა ისინი განვითარებადი ქალაქ-სახელმწიფოს მნიშვნელოვანი ტერიტორიული შემწე გახდა. პატარ-პატარა კუნძულებს თვალწარმტაც „სტაუარად" აქცევენ ტურისტებისათვის, ხოლო უფრო მოდიდოებს ნავთობის კომპანიები ნავთობსაწმენდი ქარხნებისა და საწყობების მშენებლობისათვის იყენებენ. „ბიგლებულ" კუნძულებს უკავშირდება სინგაპურში უდიდესი სამრეწველო პროექტის განხორციელებაც. სინგაპურის ნავსადგურში შესასვლელთან განლაგებული ორი მათგანის სპეციალური პლატფორმით შეერთების შემდეგ შეიქმნება ნავთობქიმიური კომპლექსის აშენებისათვის.

მარსის ფოტოპორტრეტი

ნიუ-იორკი, (საკადესი). „ვიკინგ-2" კოსმოსური სადგურის დასაჯდომი ბლოკიდან, რომელიც მარსზე დაეშვა, უკვე მიიღეს რამდენიმე ფოტოსურათი. ფოტოსურათებზე აღბეჭდილია პლანეტის წითელი ზედაპირი და ცის მოყვითალო მონაკვეთი უტოპიის — ალარატის დაჯდომის ადგილის რაიონში. გარდა ამისა, მიღებულია გარკვეული მონაცემები მარსის ამ რაიონში „ამინდის პირობების" შესახებ. როგორც იტყობინებიან, უტოპიის რაიონში ადგილობრივი დროით შუადღისას ტემპერატურა ნულს ქვემოთ 35 გრადუსს შეადგენდა ფარენგეიტით, რაც 5 გრადუსით ნაკლებია, ვიდრე „ვიკინგ-1" სადგურის ბლოკის დაჯდომის ადგილას არის.

„ვიკინგ-2"-ის დაჯდომის ადგილი 4.600 მილზეა „ვიკინგ-1-ის დაჯდომის ადგილიდან. მეცნიერთა აზრით, მეორე ბლოკის დაჯდომის რაიონი უფრო ტენიანია და თეორიულად უფრო ხელსაყრელია ცოცხალი ორგანიზმების არსებობისათვის.

ტენიგეტპის ლენტიდან

საკადესი

● **ბუენოს აირესი.** ოფიციალური მონაცემებით არგენტინაში ამა წლის აგვისტოში ცხოვრება 6,7 პროცენტით გაძვირდა. ასეთი მაღალი ზოგადი მაჩვენებელი ძირითადად სურსათისა და უპირველესი საჭიროების საქონლის ფასების მომატების შედეგია.

● **კოტონუ.** ბენინის სახალხო რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტის მოსამზადებლად დადგენილია შეიქმნას სახელმწიფო კომისია. კომისიის წევრების წინაშე გამოსვლისას, ქვეყნის პრეზიდენტმა მ. კერეკუმ თქვა, რომ ძირითადი კანონის პროექტმა უნდა გითვალისწინოს „ბენინის რევოლუციის ხასიათი და სოციალიზმის გზაზე მისი შემდგომი განვითარების აუცილებლობა".

● **დელი.** საცხოვრებელი სახლებისა და სამრეწველო შენებლობაში გამოსაყენებელი იაფი ხიშენებლო ნედლეულის — ქვიშისა და ხრეშის დიდი საბადოები აღმოაჩინეს უტარ პრადეშის შტატის ალუვიურ ველებზე, რაჯასტანის უდაბნო რაიონებში და ჩანდიგარხის მახლობლად. ინდოეთის საგზაო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი აეროფოტოგადაღების მონაცემების მიხედვით ეძებდა საბადოებს. სახმელეთო საძიებო ჯგუფებმა დაადასტურეს ინდოეთისათვის დაზვერვის ახალი მეთოდის მაღალი სიზუსტე.

● **ჟენევა.** 130 ათასზე მეტი უცხოელი მუშა გაემგზავრა შვეიცარიიდან 1975 წელს ქვეყანაში დასაქმების მასობრივი შემცირების გამო. ამას იტყობინება შვეიცარიის ეკონომიკის განვითარების ხელმძღვანელობი საზოგადოების ბიულეტენი.

● **ლუანდა.** ანგოლის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა დიდ უურადღებას უთმობს ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურის — ყავის დროულ და ხარისხიანად კრეფას. აქ შექმნილმა ყავის კრეფის საკოორდინაციო კ

ჩვენი კალენდარი

კეთილი კვალი

„უნდა დაიწვა, რომ გაანათო“, უთქვამს ბრძენ-კაცს და ეს სიტყვები ზედგამოჭრილია ქართული საბჭოთა პედიატრიული სკოლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის პროფესორ ილია ლორთქიფანიძეზე, ვინც მთელი სიცოცხლე და ცოდნა მომავალი თაობის ჯანმრთელობის საქმეს მოახმარა, ვინც სრულიად ახალგაზრდა, 45 წლისა, დაიფერფლა და მაინც ასეთი ღრმა კვალის დატოვება მოასწრო.

ილია გიორგის-ძე ლორთქიფანიძე დაიბადა 1896 წელს, სოფელ დიდ ჯიხაიშში, მოსამსახურის ოჯახში. 1915 წელს ი. ლორთქიფანიძემ წარჩინებით დაამთავრა ქუთაისის გიმნაზია და სხვა ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ოდესაში გაემგზავრა. აქ იგი ჩაირიცხა ნოვოროსიის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზე (ოდესის სამხედრო-სამედიცინო აკადემია).

მიუხედავად მატერიალური ხელმოკლეობისა, რასაც იმნანად ქართველი სტუდენტობის უმრავლესობა განიცდიდა, 1920 წელს ი. ლორთქიფანიძემ წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი და იგი ორდინატორად დატოვეს ჰოსპიტალური თერაპიის კლინიკაში.

ი. ლორთქიფანიძე 1921 წელს საქართველოში დაბრუნდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულების კათედრაზე უმცროსი ასისტენტის თანამდებობაზე დაინიშნა.

დიდი ნიჭი და ენერგია, თავისი სპეციალობის უსაზღვრო სიყვარული დაედო საფუძვლად მის სწრაფ დაწინაურებას. პედიატრიასთან ერთად იგი გატაცებული იყო თეორიული მედიცინით, სახელდობრ, პათ-ფიზიოლოგიით.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭომ 1931 წელს ი. ლორთქიფანიძე აირჩია დოცენტად, ხოლო შემდეგ ბავშვთა სნეულების კათედრის გამგედ. მან 1935 წელს ბრწყინვალედ დაიცვა სადოქტორო დისერტაცია.

1937 წლის ივნისში ი. ლორთქიფანიძის ინიციატივით გაიხსნა ქალაქის ბავშვთა პირველი საავადმყოფო. მისი ორგანიზატორული ნიჭისა და თავდადებული მუშაობის წყალობით ბავშვთა საავადმყოფოს მოეწყო კლინიკის უკანასკნელი მოთხოვნების დონეზე.

ცხოვრებისეული სიბრძნით იყო გამსჭვალული ილია ლორთქიფანიძის, როგორც მკურნალის, მსოფლმხედველობა. ბავშვი მას ოჯახისა და ერის საყრდენად, მომავლის მძლავრ სტიმულად მიაჩნდა, მისთვის სიცოცხლის უმთავრესი აზრი ჯანსაღი და ჰარმონიულად განვითარებული ადამიანის აღზრდა იყო, ღრმად სწამდა, რომ ჯანმრთელი მომავალი თაობის აღზრდის საქმეში ექიმ-პედიატრს უდიდესი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ექიმისათვის არ არსებობს იმაზე მეტი ჯილდო, ვიდრე სიკვდილის კლანჭებისგან დახსნილი ბავშვის უმანკო ღიმილიო, ხშირად ამბობდა ხოლმე განსვენებული მეცნიერი.

ი. ლორთქიფანიძის დიდად უყვარდა მის მიერ დაარსებული ბავშვთა კლინიკა, რომელსაც ნეორგ ოჯახად თვლიდა. ზაფხულის თვეებში, შვებულების ნაცვლად, იგი მიემგზავრებოდა მოსკოვისა და ლენინგრადის კლინიკებში, რათა თავისი მეცნიერული და პრაქტიკული დონე აამაღლებინა. მის ალაპს ეკუთვნის რამდენიმე ათეული სამეცნიერო შრომა, რომელთა უმეტესობა კლევის განსაკუთრებული ორიგინალობითა და სიახლით ხასიათდება. მისი შრომების ძირითადი თემა ბავშვთა პათოლოგიის მნიშვნელოვანი საკითხები — პნევმონია ჩვილ ბავშვთა ასაკში, ფილტვ-პლევრის ჩირქოვანი დაავადებები, ტუბერკულოზი, ანემია, თირკმელების, გულის, ღვიძლის დაავადებათა და ნივთიერებათა ცვლის სახეები.

1941 წლის 9 აგვისტოს ჩვეულებრივად მხნე და მშვიდი მოვიდა იგი თავის საყვარელ კლინიკაში და ლექციის წინ გულის ანგინის ელვისებური შეტევით გარდაიცვალა.

ამ ინვალიდამაინა და ბავშვთა ჯანმრთელობისათვის დაუღალავ მზრუნველს მუდამ მადლიერებითა და სიყვარულით მოიგონებენ.

ჟ. ჭყონია,
მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი;

დ. კვიტაიშვილი,
საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი.

ანდეზიტის მდიდარი საგადო

ცხინვალი. 6 სექტემბერი. (საქინფორმი). სხვადასხვა ფერის ანდეზიტის მდიდარი საბადო აღმოაჩინეს საქართველოს საწარმოო სამმართველოს „საქგეოლოგიის“ გეოლოგებმა ჯავის რაიონის ტერიტორიაზე. მათ წარმოადგინეს დასკვნა საძიებო სამუშაოთა შესახებ. მნიშვნელოვანი სამენი მასალის მარაგი დაახლოებით 50 მილიონი კუბური მეტრია.

საქართველოს ქთა-ბარში

აჭარის ჟურნალისტთა სტუმარი

ბათუმი. (საკ. კორ.). აჭარის პრესის სახლის კლუბში ჟურნალისტები შეხვედნენ გაზეთი „პრავდის“ მთავარ რედაქტორს, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარეს, სსრკ-ეშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს ვ. აფანასიევს.

ამხანაგმა ვ. აფანასიევმა ჟურნალისტებს გააცნო „პრავდის“ კოლექტივის მუშაობა, ესაუბრა იმაზე, თუ როგორ შუქდება გაზეთის ფურცლებზე საბჭოთა ხალხის ბრძოლა სკკპ XXV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა შესასრულებლად, თუ რა ამოცანები დგას პრესის წინაშე თანამედროვე ეტაპზე. შემდეგ ვ. აფანასიევმა უპასუხა ჟურნალისტთა შეკითხვებს.

□

თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლები

სსრ კავშირის არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანელობა ნებაყოფლობითი საზოგადოების — დოსააფის ცენტრალური კომიტეტის მოწვევით საბჭოთა კავშირში თავდაცვით-მასობრივი და სამხედრო-პატრიოტული მუშაობის გამოცდილების შესასწავლად ჩამოსულია კუბის რესპუბლიკის მოსახლეობის სამხედრო და პატრიოტული აღზრდის ეროვნული კომისიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს ამ კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, პოლკოვნიკი ვიელიამ გელვეესი.

უკვე რამდენიმე დღეა, თავისუფლების კუნძულის წარმომადგენლები სტუმრად არიან საქართველოში.

საქართველოს სსრ დოსააფში გაიმართა მიღება, რომელზეც ამ რესპუბლიკური საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის გმირმა, გადამდგარმა გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ჯანჯღავამ კუბელ სტუმრებს გააცნო ქართველ დოსაააფელთა მრავალმხრივი საქმიანობა, წარმატებები, რომლითაც ისინი ეგებებიან დოსაააფის ნახევარი საუკუნის იუბილეს.

საქართველოში ყოფნისას კუბის დელეგაციის წევრები გაეცნენ დოსაააფის თბილისის, ქუთაისის, ბათუმის ბევრ კომიტეტს, ბევრი სასწავლო, პირველადი და სპორტული ორგანიზაციების მუშაობის გამოცდილებას, აგრეთვე სამტრედიისა და მახარაძის რაიონების სასოფლო რაიონულ ორგანიზაციათა საქმიანობას, დათვალიერეს რესპუბლიკის ღირსშესანიშნავი ადგილები.

კუბელი სტუმრები, რომელებსაც მოგზაურობაში თან ახლავს სსრ კავშირის დოსაააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ორგზის საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-ლეიტენანტი ა. შილინი, დღეს კიევში გაფრინდებიან.

აქ ისვენებენ ავტომშენებლები

ქუთაისის გ. კ. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონვეიერიდან მეოთხედი საუკუნის წინათ ჩამოვიდა პირველი ქართული ავტომობილი.

წლითიწლობით იზრდება „კაზების“ ოჯახი. თვითმცლელებს ცვლის ავტოსაწევრები, ავტომატარებლები. მანქანებმა, რომლებსაც ემბლემა „კოლხეთი“ ამშვენებს, პოპულარობა მოიპოვა ქვეყნის გზებზე.

ავტომშენებლები კარგად შრომობენ და შინაარსიანად, საინტერესოდ იხვენებენ. ახლახანს ქარხნის კოლექტივი მეთექვსმეტედ გახდა საკავშირო სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებული. შაბათ-კვირას ავტობუსებს, ათობით საკუთარ ავტომანქანას მიპყავს მუშები და მოსამსახურეები ქალაქგარეთ, შაორის წყალსაცავზე.

სურათებზე: ზემოდან — ავტომშენებელთა საკუთარი ავტომანქანების კოლონა შაორის წყალსაცავის ნაპირებთან; ექსპერიმენტული საამქროს უბნის უფროსი ალექსანდრე ვორობიოვი, ინჟინერ-კონსტრუქტორი პაატა გიორგაძე და მეფოლადე მიხეილ ფალიევი თევზაობის დროს; ქუთაისელი ავტომშენებლები ისვენებენ შაორის წყალსაცავის ნაპირებზე.

შ. კრიმსკისა და ბ. ბერსამეას ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

დანაშაულის კვალდაკვალ
მტაცებლები

მოსახლეობის ხილ-ბოსტნეულით მომარაგება და უზრუნველყოფა მნიშვნელოვანი საქმეა. ამიტომ გასულ წლებთან შედარებით ამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და რეალიზაცია მკვეთრად გაიზარდა, მაგრამ არის ნაკლოვანებებიც, რაზეც მომხმარებელი გაოგვეულ უკმაყოფილებას გამოთქვამს.

მხილებულია ბოსტნეულის დატაცების, სპეკულაციის, უსაქონლო ოპერაციების ყალბი დოკუმენტების შექმნა, მომხმარებელთა წინასა და ფასში მოტყუების, პროდუქტების რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ გატანისა და სხვა დანაშაულებრივი ფაქტები.

26 აგვისტოს საგარეჯოს ტერიტორიაზე დაკავეს ქუთაისის „საქსოფლტექნიკის“ ავტომანქანა, რომელსაც მძღოლი თთარ პარმენის-ძე კურცხლია მართავდა, ავტომანქანა დატვირთული იყო საზამთროთი, რომელიც ქუთაისის ხილ-ბოსტნეულის № 9 მაღაზიის გამგე-გამყიდველმა ოთარ გაბუნიამ შეისყიდა საგარეჯოს რაიკოოპერატივის დამზადების კანტორის სოფელ ბადაურის, იორმუდანლოს და ნინოწმინდის დამზადების პუნქტებიდან. განრიგის თანახმად საზამთრო ქუთაისში უნდა ჩაეტანათ ხილ-ბოსტან-ვაჭრობის მაღაზიებში სარეალიზაციოდ. მაგრამ ო. გაბუნია დანაშაულებრივად დაუკავშირდა დმანისის რაიკოოპერატივის დამზადების კანტორის დამამზადებლებს ხულიდ იუსუფ-ოღლი ახმედოვს და ტანვერდი მეხტი-ოღლი ტანვერდიევს, რომლებსაც თითო კილოგრამი 16 კაპიკად ნაყიდი 6.150 კილოგრამი საზამთრო 28 კაპიკად მიპყიდა. პროდუქტი იქვე გადატვირთეს თავიანთ ავტომანქანებში, რომლებიც თან ახლდათ (მძღოლები კ. კაჩარამოვი, ნ. იბრაგიმოვი).

დმანისის დამზადების კანტორის დამამზადებლებმა გააფორმეს ფიქტიური დოკუმენტები, ვითომ ეს საზამთრო გურჯაანის და სიღნაღის რაიონების მოსახლეობისაგან შეიძინეს კილოგრამი 50 კაპიკად, რითაც სურდათ მიეთვისებინათ 2010 მანეთი, ხოლო ქუთაისის წარმომადგენლებმა ო. გაბუნიამ ამ ოპერაციათ 737 მანეთი დაიტაცა.

ო. გაბუნია, ტ. ტანვერდიევი და ხ. ახმედოვი დაკავებული არიან.

1976 წლის 26 აგვისტოს დაკავეს საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს ავტომანქანა ზილ-130 № 12-17, რომლითაც სიღნაღის რაიონის სოფელ ქვემო მაჩხაანში მცხოვრებ ჯემალ სიფრაშვილს ბზარბაიჯანიდან სასპეკულაციოდ მოჰქონდა 5.700 კილოგრამი საზამთრო.

სოფელ წინანდლის მეგვინახეობის საბჭოთა მეურნეობის მებაღეებს ალექსანდრე მსუნენიშვილს, შალვა ხალიჩაშვილს და მერაბ მსუქნიშვილს მაშინ წაასწრეს დანაშაულზე, როცა თბილისში სარეალიზაციოდ მიეჭონდათ მეურნეობიდან დატაცებული 9.405 კილოგრამი საზამთრო. საზამთრო ჩაბარდა თელავის დამზადების კანტორას, ხოლო დანაშავენი მიცემული არიან სისხლის სამართლის კასუხისგებაში.

ამას წინათ შინაგან საქმეთა ორგანოს მუშაკებმა დააკავეს თელავის რაიონის „საქსოფლტექნიკის“ ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლი ა. გიაშვილი, რომელსაც უსაბუთოდ გადაეჭონდა 1575 კილოგრამი საზამთრო. მას მივლინება გამოწერილი ჰქონდა ქ. ბათუმში, სადაც ვითომ ავტოსათადარიგო ნაწილების ჩამოსატანად მიდიოდა. როგორც მძღოლმა შ. გიაშვილმა განმარტა, უცნობმა პირებმა მას ეს ტვირთი თელავიდან გამოატანეს გორში, სადაც ისინი ერთმანეთს უნდა შეხვედროდნენ. საზამთროს კატრონი არ გამოჩნდა და პროდუქტი ჩაბარდა გორის „კოოვვაჭრობას“.

ხილ-ბოსტნეულის პროდუქტებით სპეკულაციის მრავალი ფაქტი გამოვლინდა აგრეთვე ლაგოდეხის, ბაღდათნის, გურჯაანის და სხვა რაიონებში. სპეკულანტების და საზოგადოებრივი ქონების მტაცებელთა წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად უნდა ჩაებას ფართო საზოგადოება. მტაცებლებს ყველა გზა უნდა გადაეკეტოთ.

კ. დოლიძე.

მოსკოვში გამოიცა

მახვილგონიერება

გ. ნადარეიშვილის რჩეული ეტიუდები



ახლახან გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ მოსკოვში გამოუშვა ცნობილი საბჭოთა საჭადრაკო კომპოზიტორის გია ნადარეიშვილის წიგნი „რჩეული საჭადრაკო ეტიუდები“, რომელიც კვალიფიციური მოჭადრაკეებისათვის არის გათვალისწინებული. წიგნში შესული ეტიუდების ნაწილი პირველად ქვეყნდება. ბევრ მათგანს დიდი მნიშვნელობა აქვს ენდშპილის თეორიისათვის. ეტიუდების სილამაზე და პრაქტიკული მნიშვნელობა წიგნის მთავარი ღირსებაა, წიგნისა, რომელიც უთუოდ დაინტერესებს და ბევრ სასარგებლო რჩევას მისცემს ჭადრაკის მოყვარულთ.

წიგნს დართული აქვს წინასიტყვაობა, რომლის ავტორია მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მიხეილ ბოტვინიკი. ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის უინტერესო არ იქნება მოკლედ მაინც გაეცნოს მას. აი რას წერს მ. ბოტვინიკი:

ალბათ გ. ნადარეიშვილის ტალანტის დასაყრდენია ის, რომ მას შეუძლია ნათელ, მახვილგონიერ იდეებს ხორცი შეასხას ისეთი ბუნებრივი, ჩვეულებრივი ფორმით, რომელიც ასე ახლობელია პრაქტიკოსი მოჭადრაკისათვის. ამაშია, როგორც ეტყობა, მისი კომპოზიციის სიორთულეცა და მოახლოებელლობაც. იგი თავს უფლებას აძლევს შექმნას მრავალფიგურიანი კომპოზიციები მაშინ, და მხოლოდ მაშინ, როცა ეს სავსებით აუცილებელია იდეის განხორციელებისათვის. მისი კომპოზიციის სიორთულე სვლების მექანიკური მონაცვლეობის მოსაწყენ განუტოებებში კი არ მდგომარეობს, არამედ ჩანაფიქრი იდეის მოულოდნელობაში, იდეისა, რომელიც პოზიციის მოჩვენებითი უბრალოებით არის შენიღბული.

გ. ნადარეიშვილი, როცა კი თავისუფალ დროს ამოვიის... მუშაობაში ეფლობა! უამისოდ ხელოვნების კარგ ნიმუშს ვერ შექმნი. მაგრამ, ალბათ, ეს დაკავშირებულია ხელოვანის ინტუიტურ მისწრაფებასთან — რაც უნდა დაუჯდეს, შეინარჩუნოს შრომის უნარი. გ. ნადარეიშვილი ფანტაზიოსია, ხოლო სწორედ ფანტაზიაში განასხვავებს ხელოვანს ხელოსნისაგან, აცავს მას პრაქტიკულობის გავლენისაგან, რომელიც ნადრევად ანელებს შრომის უნარს და ამოკლებს შემოქმედებითს ცხოვრებას.

ნათქვამის საილუსტრაციოდ გადავხედოთ კრებულში შესულ ჭადრაკის ოლიმპიადების მოწყობა ისრაელში, რომლის მმართველი წრეები აგრესიის პოლიტიკას ახორციელებენ მეზობელი არაბული სახელმწიფოების მიმართ და კვლავ არბევენ ოკუპირებული არაბული ტერიტორიების მოსახლეობას.

ცხადია ისიც, რომ ეროვნული ფედერაციების უმრავლესობა, რომლებმაც უარი თქვეს გაეგზავნა თავიანთი გუნდები ისრაელში, არ მიიღებენ მონაწილეობას არც ფიდე-ს კონგრესში, რომელიც ამის შედეგად ვერ იქნება წარმომადგენლობითი და უფლებამოსილი გადაწყვიტოს საერთაშორისო საჭადრაკო ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი საკითხები.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაცია კვლავ მიმართავს ფიდე-ს ხელმძღვანელობას და დაბეჭითებთან მოუწოდებს გაატქმის 1976 წლის ოლიმპიადების მოწყობა, ხოლო ფიდე-ს კონგრესი სხვა ქვეყანაში გადაიტანოს.

გიკურობის შთაბეჭდილება — ნადარეიშვილის ეტიუდები გამოირჩევიან განსაკუთრებული შემოქმედებითი ინდივიდუალობით. არ შეიძლება არ აღინიშნოს, აგრეთვე კოპწია მინიატურა (ეტიუდი № 97).

ჭადრაკის ოსტატის ერთ-ერთი მთავარი (თუ უმთავრესი არა) თვისებაა ვარიანტების ზუსტი გათვლის უნარი. იმ ახალგაზრდა მოჭადრაკეებისათვის, რომლებიც ამ მხრივ მაინცდამაინც გაბედულად ვერ გრძნობენ თავს, სასარგებლოა ეტიუდების ამოხსნა. **ამიტომ ეს კრებული შეიძლება გამოვიყენოთ როგორც ძვირფასი სასწავლო სახელმძღვანელო.**

თავიანთ საქმიანობაში ადამიანები (ასე ფიქრობს წინასიტყვაობის ავტორი) სარგებლობენ ალგორიტმის ორი ტიპით — მართვის ალგორიტმით და მართვის ალგორიტმის ძიების ალგორიტმით. შემოქმედებითი ალგორიტმი, უეჭველია, დაკავშირებულია ძიების ალგორიტმთან; ეს ყველას როდი ძალუძს. მკვლევარი და ფანტაზიოსი ნადარეიშვილი თავისი საქმის ნამდვილი ოსტატია. ვიმედოვნებ, რომ მკითხველი, მას შემდეგ, როცა ამ წიგნით ისიამოვნებს, შემოუტრთდება ჩემს კეთილ სურვილებს, რომ ახალ-ახალი წარმატებები ჰქონდეს ამ კრებულის ავტორს.

სამართლიანი უარი

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის განცხადება

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციამ 21 მაისს უარი გააცხადა მონაწილეობაზე მოჭადრაკე ვაჟთა 22-ე და ქალთა მე-7 მსოფლიო ოლიმპიადებში (მსოფლიოს გუნდურ ჩემპიონატებში) და ფიდე-ს მორიგ კონგრესში, რომლებიც ოქტომბერში დანიშნული ისრაელში (ქ. ჰაიფა).

ახლა, როცა გავიდა განცხადების წარდგენის ვადა, გამოირკვა, რომ ოლიმპიადებში ფიდე-ს წევრი 94 ეროვნული ფედერაციის მხოლოდ 34-ის გუნდებმა მონაწილეობაა მოსალოდნელი. ეს მონაწილე ქვეყნების ყველაზე მცირე რიცხვია უკანასკნელ ოც წელიწადში მოწყობილი ათი ოლიმპიადის მანძილზე. იმათ შორის, ვინც უარი თქვა ისრაელში გაეგზავნა მოჭადრაკენი, არიან მთელი რიგი ისეთი ქვეყნების ფედერაციები, რომელთა გუნდებიც უცვლელად იკავებდნენ საპრიზო ადგილებს ბევრ ოლიმპიადაში.

ამრიგად, ფედერაციების უმრავლესობამ აშკარად არ მოიწონა ჭადრაკის ოლიმპიადების მოწყობა ისრაელში.

თბილისში მოსალოდნელია ხანმოკლე წვიმა და ელჭექი, იქროლებს ჩრდილო-დასავლეთის ქარი, ტემპერატურა 27-29 გრადუსი.

ტურნირის სენსაცია

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ქალთა შორის, დიდოსტატმა ნონა გაფრინდაშვილმა პოლონეთის ქალაქ სანდომირში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირზე შვიდი ტურის შემდეგ 5 ქულა მოაგროვა და ლიდერთა შორის იმყოფება. ასეთივე შედეგი აქვს კიდევ ხუთ მოჭადრაკეს.

ნ. გაფრინდაშვილმა მეექვსე ტურში სენსაციური დამარცხება მიაყენა დიდოსტატ რაინერ ბაიაკს (გდრ). საინტერესოა, რომ ეს „სუსტი სქესის“ წარმომადგენელთა მხოლოდ მესამე გამარჯვებაა დიდოსტატზე უკანასკნელი 30 წლის მანძილზე.

ჩიგორინის მემორიალი

მემორიალის მერვე ტურში ლიდერმა, საერთაშორისო ოსტატმა სვეშნიკოვმა ყაიმით დაამთავრა მორიგი შეხვედრა და 8 შეხვედრიდან 5,5 ქულით კვლავინდებურად პირველ ადგილზეა. 5 ქულით მეორეა დიდოსტატი ციშკოვსკი. 4,5 ქულა აქვთ დიდოსტატებს პოლუგაევსკისა და ალორიანს (უნგრეთი). ორივე მათგანს შეუძლია დაეწიოს ლიდერს, რადგან პოლუგაევსკის გადადებული პარტია აქვს მოსაგები ბოლიციანით დიდოსტატ კიროვთან (ბულგარეთი), ალორიანს კი — ასევე მოსაგებ პოზიციაში — ოსტატ რაშკოვსკისთან.

სარეკორდო ანგარიშით

ჩელიაბინსკში დამთავრდა სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე წრე წყალბურთში. ბოლო ტურში ძველი მეტოქეების — თბილისისა და მოსკოვის დინამოელთა შეხვედრაში ფიქსირებული იყო სარეკორდო შედეგი. მეტოქეებმა ორივე კარში 19 ბურთი გაიტანეს. ანგარიშით 10:9 გაიმარჯვეს ქართველმა წყალბურთოელებმა, რომლებიც 14 ქულით მეხუთე ადგილზე არიან.

გათამაშებას დასკვნითი, მესამე წრის წინ ლიდერობს სსრ კავშირის ჩემპიონი — მოსკოველ მეზღვაურთა გუნდი — 29 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან კიევის დინამოელები — 24, ბაქოელი მეზღვაურები — 21 და მოსკოვის უნივერსიტეტის წყალბურთელები — 20 ქულა.

მოკლედ

ჩოგბურთი. მოსკოველი ო. მოროზოვა დამარცხდა ფორტეპილსში (ამერიკის შეერთებული შტატები) ქვეყნის ღია ჩემპიონატის მესამე ტურში, სადაც ამერიკელ სპორტსმენს კ. კიენდლოს ეთამაშებოდა — 4:6, 4:6.

ფეხბურთი. ისლანდიის ნაკრებმა რეიკიავიკში ანგარიშით 0:1 წაადო მსოფლიოს მე-11 ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი (მეოთხე შესარჩევი ჯგუფი) ბელგიის ნაკრებთან.

რეგბი. საკავშირო ჩემპიონატის მეთხუთმეტე ტურში თბილისის „ივერია“ ნალჩიკში ანგარიშით 6:12 დამარცხდა ადგილობრივ „სპარტაკთან“, ხოლო თბილისის მეორე გუნდმა „ლოკომოტივმა“ კიევში 0:14 წაგო ადგილობრივ „პოლტავნიკთან“. ჩემპიონატის დამთავრებამდე 3 ტური დარჩა.

კრიკეტი. კანადის ნაკრებმა გამართა მეორე მატჩი „კანადის თასზე“ მონრეალში ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან. ანგარიშით 4:2 (3:0, 0:2, 1:0) გაიმარჯვეს მასპინძლებმა. ტურნირს ოთხ-ოთხი ჭიქით ლიდერობენ კანადისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდები.

ᲤᲔᲮᲑᲣᲗᲘ

ᲘᲡᲔᲕ ᲤᲠᲔᲕ

„ლოკომოტივი“ — „ლოკომოტივი“ მოსკოვი — 0:0. — ნიკიტმბერი, ობლისი, „ლოკომოტივის“ — „ტალინი“. — მსაჯი მ. კუსენი (ლვოვი).

„დინამო“ — ბოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, კოპალეიშვილი (დვალიშვილი), გუდაევი (ფერეთელი), ყიფიანი, ჩელებაძე.

„ლოკომოტივი“ — სამოხინი, ნოზდრინი, ოვჩინიკოვი, რიაბოვსკი, ალექსანდროვი, კალაჩეევი, ეშტრეკოვი (ბერეგოვნეცევი), სიომინი, ლარიონოვი, ავერიანოვი (ნიკიფორენკო), გაზაევი.

მატჩს წინ ფრაად სასიამოვნო ცერემონიალი უძღოდა — საბჭოთა კავშირის თასის ახლმა მფლობელებმა — თბილისის დინამოელებმა ბრონლის პრიზით საპატიო ადგილზე შემოუარეს პირამდე სავსე სტადიონის ტრიბუნებს. მაყურებლები მხურვალე ტაშით ესალმებოდნენ მოსკოვის ფინალის გმირებს...

სამწუხაროდ, ამ დღეს ეს ჩვენს სტადიონზე უკანასკნელი ტაში იყო. დინამოელებმა „ლოკომოტივის“ კარში ბურთი ვერ გადატანეს და ვინ იცის რაოდენ სანერო „საშემოდგომო“ ქულა დაკარგეს.

საბჭოთა თასის ორი ლაურეატის — მისი პირველი და ბოლო მფლობელის ასპარეზობა მასპინძლებმა ძალზე მშვიდად, ჩვენ ვიტყოდით, ზედმეტი აკადემიურობით დაიწყეს. მართალია, „დინამო“ ამ დღესაც თითქმის უშეცდომოდ მოქმედებდა, განსაკუთრებით დაცვაში, მაგრამ თავდასხმის ისედაც ეშვით შეტევებს ჩვეული სიმშვიდე აკლდა.

და მაინც ვეეძლო თუ არა „დინამოს“ მატჩის მოგება? ვფიქრობთ, რომ მასპინძლებს გოლის გატანის სულ ცოტა 3-4 შესაძლებლობა მაინც ჰქონდათ.

პირველ ტაიმში სტუმრები აშკარა გოლისაგან იხსნა გამოცდილმა მეკარემ სამოხინმა, რომელმაც კუთხურზე გადაიყვანა ყიფიანის მიერ მე-16 წუთზე დარტყმული ბურთი კოპალეიშვილის ზუსტი გადაცემის შემდეგ.

მეორე ტაიმში ამას მოჰყვა ჯერ წერეთლის, შემდეგ კი ჩელებაძის (ორჯერ) უზუსტო დარტყმები ხელსაყრელი მდგომარეობიდან.

0:0 — ასეთი შედეგით დამთავრდა ეს მატჩი, ისევე როგორც მოსკოვის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გამართული ამ მეტოქეების წინა ჩემპიონატის ორთაბრძოლა.

ო. ნოზაძე.

ორი მატჩი

გუშინ მოსკოვსა და დნეპროპეტროვსკში გაიმართა „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები. მოსკოვში დედაქალაქის „დინამო“ შეხვდა კიეველ თანაკლუბელებს, ხოლო დნეპროპეტროვსკში ადგილობრივი „დნეპრი“ — მოსკოვის „სპარტაკს“. ორივე მატჩში ერთნაირი ანგარიშით 1:0 გაიმარჯვეს მასპინძლებმა.

რედაქტორის მოადგილე
ბ. ბოგიაშვილი.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

8 სექტემბერი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — მხატვრული ფილმი „მეხუთე მეოთხედი“ ფერადი გამოსახულებით, 12.05 — საქართველოს ციკვის სახელმწიფო დამსახურებული ანსამბლის კონცერტი. ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 17.45 — კონცერტი ბავშვთა თვითმოქმედი ანსამბლის „კავთურას“ მონაწილეობით (განმეორებით), 18.15 — განცხადებები, 18.20 — „ჩაის მრეწველობა — სადღეისო მოთხოვნათა დონეზე, 18.45 — „დიალოგი ტელემაყურებლებთან“, 19.15 — „ბოამბე“ — საინფორმაციო პროგრამა, 19.45 — საერთაშორისო ტურნირი ჰოკეში. სსრ კავშირისა და ფინეთის ნაკრები გუნდები (გადმოცემა მონრეალიდან), 22.00 — „ვრემია“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.35 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — დავით რონდელი.

მეორე პროგრამით

18.05 — სტუდენტთათვის — ლექცია მცირეთა გამძლეობაში, 18.50 — განცხადებები, 18.55 — კონცერტი, 19.45 — მხატვრული ფილმი „პრივალოვის მილიონები“ (I სერია) ფერადი გამოსახულებით.

9 სექტემბერი

პირველი პროგრამით

06.35 — ვ. დოლიძე. ნაწყვეტები ოპერიდან „ქეთო და კოტე“, 08.32 — მსუბუქი მუსიკის კონცერტი, 09.25 — რესპუბლიკური გაზეთების მიმოხილვა, 09.45 — ვ. აზარაშვილი. კონცერტი ფლეიტისა და ორკესტრისათვის, 11.05 — ნ. მეტნერი — კამერული ნაწარმოებები, 11.45 — „პარტიული ცხოვრება“ საუბარი „მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდა“, 12.25 — „სცენის ოსტატები“, 12.37 — მიკროფონთანაა ვოკალური ანსამბლი „ორნანო“, 12.50 — ი. შტრაუსი — ოპერეტა „დაბურას“ მონტაჟი, 13.30 — გაზეთ „პრავდის“ მიწინაევ სტატია, 13.40 — გ. კოკილაძე — კამერული ნაწარმოებები, 14.00 — „ლიტერატურული კითხვა“. მ. შოლოხოვი. „ბატხილი ყამირი“ რომანი (გაგრძელება), 15.00 — „მეგობართა ხმები“ — გადმოცემა მომმე სოციალისტური ქვეყნებიდან, 17.10 — გადაცემათა პროგრამა, 17.15 — მსუბუქი სიმღერების პიესები, 17.35 — მოსწავლეთათვის. „იზარდა მწვანე ჯეჯილი...“, 18.10 — ზ. ფალიაშვილი — „ნაწყვეტები ოპერა დაისადან“, 19.00 — მილიონთა ლენინური უნივერსიტეტი, 19.20 — მღერის „ცისფერი ტრიო“, 20.30 — მ. ქასრაშვილისა და ზ. სოტკილავას კონცერტი, 21.00 — „ძილისპირული“, 21.10 — „შემოქმედებითი პორტრეტები“ — გ. შატბერაშვილი, 22.50 — „ხვალ — რადიოთი“, 23.30 — ქართველ კომპოზიტორთა სიმღერები.

ᲠᲐᲓᲘᲝ

ᲣᲧᲣᲠᲗᲔ ᲓᲐ ᲬᲐᲮᲬᲘᲗᲔ, ᲠᲐ ᲛᲝᲯᲡᲘᲚᲘᲐ

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-51.

КОМУНИСТИ ИНДЕ